



IX წ.
№ 5.

საქართველოს ზაფათი.

IX წ.
№ 5.

კვირა, 28 იანვარი 1901 წელსა.

ზაფათის ზანი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—სამი შაური.

ხელას-ძაწენა შიადება: თფილისში—„წერა-კითხვის“ გამგროვებელ საზოგადოების „კანცელარიაში“, და „ქვალის“ რედაქციაში, საპირის ქ., № 15.
ბელაზონი № 734.
ფოსტის ადრესი: **თფილის, რედაქცია „КВАЛИ“.**

ზინაარსი: მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.— შინაური მიმოხილვა.— სხვა-და-სხვა ამბები.— კორესპონდენციები.— ჩვენი შინაური საქმეები, მათუხალასი.— პატარა წერილი. ი. ხოსიტაშვილისა.— ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება, Studiosus.— რუსეთის ცხოვრება.— საზღვარგარეთ.— სოფლის გმირები, მოთხრობა ევ. ნინოშვილისა.— * ლექსი კატო მიქელაძისა.— ჩვენი სახიობა.— ისტორიული მეცნიერებიდან.— რედაქციისაგან.— განცხადებები.

მე-XIX საუკუნის მოღვაწენი.

I. პოლიტიკოსები.

1. ნაპოლეონ I.

„ნაპოლეონი წარმოიშვა დიდი რევოლიუციიდან ისე, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან“— დასწერა 1840 წ. ლუი ნაპოლეონმა (შემდეგ იმპერატორმა საფრანგეთისამ) და დასწერა სრული ჰეგმონიკა. ნაპოლეონ პირველი იყო აუცილებელი დასკვნა მე-XVIII საუკუნისა და დასაწყისი მეცხრამეტესი. მან გავლილი საუკუნის კარები ისეთი ხმაურით შემოაღო, რომ შეშფოთდა მთელი ევროპა და მასთან ერთად მთელი კაცობრიობა. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, არც ერთ გვირგვინოსანს, გარდა, შეიძლება, ალექსანდრე მაკედონელისა, იმდენი დიდი საქმეები არ მოუხდენია, რამდენიც მოიპოქმედა ნაპოლეონმა. რა საქმეებია ეს? ამას დაგვანახებებს მისი მოღვაწეობის მოკლე განხილვა.



ნაპოლეონ I.

ნაპოლეონი, შვილი ღარიბი აზნაურისა, დაიბადა 1769 წ. კუნძულ კორსიკაზე, ადგილობრივი გუბერნატორის პროტექციით ათი წლის ბავშვი შეიყვანეს სამხედრო სასწავლებელში ჯერ სამშობლოში და მერე პარიზში. 1785 წ. მან გაათავა სწავლა და ჯარში ჩაირიცხა ლეიტენანტად. 1789 წ. ატყდა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია, ნაპოლეონი სტოვებს პარიკს და სა-

ჩქაროთ მიდის თავის სამშობლოში, კორსიკაზე, დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად და კუნძულის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. მაგრამ კორსიკაზე შედგა რევოლიუციის მოწინააღმდეგე პარტია, რამაც გამოიწვია ახალგაზდა ნაპოლეონის დიდი წინააღმდეგობა. ის თან-და-თან გადავიდა რევოლიუციის და მით საფრანგეთის მხარეზე და დასწყვიტა საფრანგეთისათვის ემუშავა. სამშობლოს აჯანყებულებმა უარყვეს ის, როგორც მოღალატე, და ნაპოლეონიც იძულებული გახდა საფრანგეთში წასულიყო. 1793 წ. რევოლიუციურ მთავრობამ (კონვენტმა) ის დანიშნა ჯარის უფროსად და ჩააბარა ტულონის დაცვა ინგლისელებისაგან. 1794 წ. მას ჩააბარეს მთელი ბრიგადა და შეიქმნა რევოლიუციის მეთაურის სახელოვან რებესპიერის სამხედრო შრეველად. ამისათვის რებესპიერის დაცემას თან მოჰყვა მისი დაცემა და დასავლეთ საზღვრებზე გაიგზავნა. ის არ დაემორჩილა მთავრობას და პარიკის სამხედრო შტაბში ომის პლანების შედგენას შეუდგა, იმ პლანების, რომლებმაც მას სახელი გაუთქვა. ასეთი ურჩობისათვის ის სრულიად გამოირიცხეს ჯარიდან და ისიც კერძო ცხოვრებას მიეცა. მაგრამ კონსერვატორები თან-და-თან ძლიერდებოდნენ და კონვენტს საფრთხეს უქადიდნენ. კონ-

საპოლეონის დიდი რევოლიუციიდან ისე, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან“— დასწერა 1840 წ. ლუი ნაპოლეონმა (შემდეგ იმპერატორმა საფრანგეთისამ) და დასწერა სრული ჰეგმონიკა. ნაპოლეონ პირველი იყო აუცილებელი დასკვნა მე-XVIII საუკუნისა და დასაწყისი მეცხრამეტესი. მან გავლილი საუკუნის კარები ისეთი ხმაურით შემოაღო, რომ შეშფოთდა მთელი ევროპა და მასთან ერთად მთელი კაცობრიობა. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს, არც ერთ გვირგვინოსანს, გარდა, შეიძლება, ალექსანდრე მაკედონელისა, იმდენი დიდი საქმეები არ მოუხდენია, რამდენიც მოიპოქმედა ნაპოლეონმა. რა საქმეებია ეს? ამას დაგვანახებებს მისი მოღვაწეობის მოკლე განხილვა.

ვენტმა მიმართა ისევ ნაპოლეონს და მთავარ-სარდლის ბარონს თანაშემწედ დანიშნა. ნაპოლეონს დაეწავლა რევოლუციონურ მთავრობის დაცვა. კონსერვატორთა დიდი აჯანყება 1795 წ. მან შესანიშნავათ დაამარცხა, რის გამო მთელი ჯარების შინაგან მეთაურათ დანიშნა. და აი, ამ დროს ევროპის მთავრობანი წინააღმდეგ რევოლუციურ მოძრაობას და მოინდომეს საფრანგეთის დასჯა. პირველათ ამხედრდა ავსტრია, რომლის მეფე მოყვარე იყო საფრანგეთის მეფისა, ლიუდოვიკ მე-XVI-ის, რომელსაც რევოლუციის მთავრობამ თავი მოჰკვეთა. ავსტრიას მიემხრო დანარჩენი ევროპა. 1796 წ. ნაპოლეონს ჩააბარეს ჯარების უფროსობა იტალიაში, სადაც დაამარცხა ავსტრიელები, იტალიის მთავრები პაპითურთ და დაიმორჩილა თითქმის მთელი იტალია. აქედან გადავიდა ავსტრიაში და ვენის კაბინეტი აიძულა საფრანგეთის სასარგებლო ზავზე დათანხმებულიყო. 1797 წ. ძლიერ-მოსილი ნაპოლეონი მოვიდა პარიჟში, დაეხმარა რადიკალურ პარტიას კონსერვატორების წინააღმდეგ და შეადგინა პლანი ინგლისელების ეგვიპტიდან გარეკისა (სხვაგან ვერაფერი მოუხერხეს). შემდეგ წელს ნაპოლეონი შევიდა ალექსანდრიაში და ეგვიპტე დაიმორჩილა. მაგრამ ამ დროს ევროპამ ხელ-მეორეთ გამოუცხადა ომი საფრანგეთს და კიდევაც იმარჯვებდა. ნაპოლეონმა, გაიგო რა ეს—გადასწყვიტა უკან დაბრუნებულყო; 1799 წ. მოვიდა პარიჟში, გააუქმა მთავრობა (18 ბრიუმერი), გამოაცხადა ახალი კონსტიტუცია, რაიცა ხალხმა მიიღო კენჭის ყრით, და დანიშნა სამი კონსული გამგებად მთელი საფრანგეთისა. პირველ კონსულათ შეიქმნა თვით ნაპოლეონი.

ამაირათ, საფრანგეთის დიდი რევოლუცია დასრულდა სამხედრო დიქტატურით და დიქტატორად გახდა ღენერალი ნაპოლეონი.

ნაპოლეონი სიჩქარით შეუდგა საფრანგეთის სახელის აღდგენას, ჯარების გაწრთენას და ევროპასთან შებრძოლებას. 1800 წ. მაისში შეებრძოლა ამხედრებულ ავსტრიელთა ჯარს და სასტიკად დაამარცხა. 1801 წ. დაამარცხა გერმანელთა ჯარები გერმანიაში, 1803 წ. დაიჭირა ჰანოვერი და ევროპას აუკრძალა ინგლისთან ვაჭრობა. ამნაირად გაბატონდა მთელ ევროპაში. 1804 წ. საფრანგეთის სენატმა ნაპოლეონი გამოაცხადა იმპერატორათ, ნაპოლეონ პირველის სახელით, რაიცა დაამტკიცა საფრანგეთის ერმა კენჭის ყრით (პლემბისციტი); მან შექმნა ახალი თავადაზნაურობა. სენატის და პარლამენტის უფლებები შეიზღუდა და ასეროგორც შინ, ისე გარეთ, შეიქმნა იმპერატორი ყოვლად ძლიერი. 1805 წ. ევროპა მესამეთ აღდა „დაუდევარ“ საფრანგეთის წინააღმდეგ. ინგლისი, გერმანია, ავსტრია, რუსეთი—ყველა შეერთდნენ ფრანგების დასასჯელად და ბურბონელთა (ლიუდოვიკთა ჩამომავალთ) გასამეფებლათ. ნაპოლეონი მაშინვე შევიდა გერმანიაში, დაიპყრო ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი, ვენა და ბოლოს აუსტერლიცთან დაამარცხა სამი ხელმწიფის ჯარი (რუსეთის, ავსტრიის და პრუსიის) და მით დაარღვია მათი კოალიცია. 1806 წ. იენასთან დაამარცხა პრუსიელები და აიღო ბერლინი. ევროპამ ხელახლა მოიხარა ქედი მის წინაშე, გარდა ინგლისისა, რომლის აღმირალმა, ნელსონმა, ერთიანად დაამხვრია საფრანგეთ-ისპანიის შეერთებული ფლოტი ტრაფალგასთან

(ხმელთა შუა ზღვაში). 1809 წ. ავსტრია კიდევ წინააღმდეგა, ნაპოლეონი გადავიდა მის საზღვრებში და მეორეჯერ აიღო ვენა და მესამედ დაიმორჩილა წინააღმდეგნი.

ამგვართ, საფრანგეთის იმპერია გაიზარდა, მას შეუერთდა რენის მხარეები, ჰოლანდია, იტალიის პროვინციები, ისპანია და სხ. პირველი სატახტო ქალაქი შეიქმნა პარიჟი, მეორე—რომი, მესამე—ამსტერდამი. ნაპოლეონის ძლიერ-მოსილება უმაღლეს ხარისხამდის ავიდა. ის გაეყარა უშვილო ცოლს და შეერთო ავსტრიის იმპერატორის ქალიშვილი მარია ლუიზა. ამ გზით, გუშინდელი ვიგინდარა დაუმოყვრდა შთამომავლობითი მეფის გვარს.

ინგლისი ვერ ითმენდა საფრანგეთის ასე ამღლებას და მიიმხრო რუსეთი, რომელმაც უარი განაცხადა ინგლისთან სავაჭრო კავშირის შეწყვეტაზე. ხოლო ჩუმათ დანარჩენი ევროპაც უკმაყოფილო იყო. ნაპოლეონმა მოინდომა რუსეთის დასჯა, შეადგინა „დიდი ჯარი“, გაიარა ევროპა, შევიდა რუსეთში და აიღო მოსკოვი. რუსებმა მოსკოვი დასწვეს და წავიდნენ შორს. გადასწვეს აგრეთვე სოფლები. ნაპოლეონის ჯარმა ვერ იშოვა ვერც სურსათი და ვერც ტანისამოსი. ამიტომ დაბრუნდნენ ისევ უკან, მაგრამ ჯარის დიდი ნაწილი გზაში სიცივისაგან გაწყდა. ამ დროს პარიჟში მოხდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ღენერლების შეთქმულობა. ნაპოლეონი საჩქაროთ გაეშურა პარიჟში, ჩააჭრო შეთქმულობა, გამოიყვანა ახალი ჯარი და გადავიდა ევროპაში ამხედრებულ რუსეთთან, ავსტრიელებთან და გერმანელებთან საბრძოლველათ. ევროპა მეოთხეთ გამოვიდა ბრძოლის ველზე. ნაპოლეონი ჩვეულებრივი სიმამაცით გავიდა მოედანზე, ღრეზდენის ახლოს საშინლათ დაამარცხა შეერთებული მტრები, მაგრამ მეორე ალაგას დაამარცხეს მისი ორი ღენერალი. ნაპოლეონმა დაიწია ლეიპციჰისაკენ, სადაც მან 6 ოქტომბერს (1813 წ.) პირველათ წაავა დიდი ომი. ნაპოლეონის ჯარები დაილაღნენ, ამდენი ომებით უკმაყოფილება დაიბადა მხედრობაში, თვით საფრანგეთი მოიღალა და ყველა ამან ნაყოფი გამოიღო. უძლეველი ნაპოლეონი ბოლოს ძლიერ იქმნა, ევროპის ჯარები როგორც იყო შევიდნენ პარიჟში, ნაპოლეონი ტახტიდან გადააგდეს და მეფედ მოიწვიეს ბურბონთა ჩამომავალი ლიუდოვიკ მე-XVIII. ნაპოლეონს მიუჩინეს ელბის კუნძული საცხოვრებლათ. ნაპოლეონმა არც აქ მოისვენა, 1815 წ-ს ათასი კაცით გამოიპარა კუნძულიდან, შემოვიდა საფრანგეთში, მიიმხრო მთელი ხალხი და ჯარი, გადააგდო ტახტიდან ლიუდოვიკი და თვითონ გამეფდა. ევროპის მეფეები კიდევ შეერთდნენ „მოუსვენარის“ დასასჯელათ, აიღეს პარიჟი, ნაპოლეონი მისცეს ინგლისს წმინდა ელენეს კუნძულზე დასაბინავებლათ და გაქცეული ლიუდოვიკი ხელახლა მიიყვანეს და გაამეფეს. ნაპოლეონი გახდა ავათ და ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კუნძულზე 1821 წ., ხოლო მისი ნეშთი პარიჟში დიდებულათ გადმოასვენეს 1840 წ.

აი, მკითხველო, რა საქმეები მოიმოქმედა ნაპოლეონმა, აი ვინ იყო ეს დიდებული პირი. როგორც ხედავთ, ნაპოლეონი ღვიძლი შვილია დიდი რევოლუციისა. რა იყო რევოლუცია? ის იყო მოქალაქობრივი თავისუფლება და სამშობლოს გაერთიანება (La nation une, indivisible—ერი ერთი, განუყოფელი—რევოლუციონერთა



დევნი იყო). ცხადია, რევოლუციის დედა-ბოძი იყო სოციალური და ნაციონალური პრინციპები. პირველისაგან შემდეგ განვითარდა სოციალიზმი, მეორისაგან—ნაციონალიზმი.

მაშასადამე, ფრანგების ევროპაში გაბატონება ნიშნავდა გავრცელებას სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისას. მხოლოდ საჭირო იყო ისეთი კაცი, რომლის წინამძღოლობით ეს დიდებული მოძრაობა უნდა მომხდარიყო. მაშინ ხომ რკინის-გზები და ტელეგრაფ-ტელეფონი არ იყო, რომ ყოველივე ეს მშვიდობინათაც სასწრაფოთ გავრცელებულიყო. არა, საჭირო იყო ფიზიკური ძალა, რომ ხალხი ერთმანეთს დაახლოვებოდა და გაეცნო. და აი, ასეთი ძალა ისტორიამ მოიპოვა ნაპოლეონში. სადაც-კი ფეხს დაადგამდა, იქ უთუოთ ფრანგული აზროვნება და ზნე-ჩვეულება ვრცელდებოდა. რევოლუციის დროს აღზრდილი სალდათები, აფიცრები და ლენერლები ყოველგან აუქმებდნენ ბატონ-ყმობას და ახალ წესებს ამყარებდნენ, ყველა ეს აღვიძებდა ხალხთა თვით-ცნობიერებას და აგებინებდა თავის ხალხოსნობას. ერთი სიტყვით, ნაპოლეონი მსოფლიო ისტორიაში გამოისროლა დიდმა რევოლუციამ და იმანაც მოკლე დროში შეასრულა თავისი მისია. რევოლუციის პრინციპი—სოციალური და ნაციონალური—მან მოაპნია მთელს ევროპაში და თუმცა ბოლოს ის ძლიერ იქმნა, მაგრამ პრინციპი-კი უძლეველი შეიქმნა, ის გაიზარდა და მერმინდელ ისტორიას საძირკვლათ დაედვა.

მოკლეთ, დიდ რევოლუციას წინააღმდეგ უკან ჩამორჩენილი ევროპა. ნაპოლეონმა ქედი მოახრევეინა მას და რევოლუციის (ე. ი. საფრანგეთის) წინ დააჩოქა. ამ მხრით ნაპოლეონიც ერთი დიდი რევოლუციონერთაგან იყო და თუმცა მან იმპერატორის გვირგვინი თავს დაიდვა, მაგრამ ესეც ხალხის ნება-რთვით, საერო კენჭის ყრით. მას თავისი დემოკრატიზა აქაც დაეტყო. ის იყო პირველი იმპერატორი „ნებითა ხალხისათა“ და მისი ევროპაში მოგზაურობა ამ ხალხის ნების მოგზაურობაა. საფრანგეთმა ნაპოლეონი გამოიყენა იარაღათ თავისი აზროვნების და შეხედულებების გასავრცელებლათ. ნაპოლეონმა გააფრანგა ევროპის ერნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მან ამათაც გააგებინა თუ რას ნიშნავს სოციალური და ნაციონალური უფლებები. და შემდეგი ამბებიც ამ უფლებების გარშემო ტრიალებენ.

შინაური მიმოხილვა.

ყველა ქალაქის საზრუნავი საგანია რიგიანი სადგომების მოწყობა და მათ სანიტარულ მდგომარეობაზე ზედამხედველობის გაწევა. ქალაქელ კაცს ისე არაფერი არ ასწულებს, როგორც ცუდი ბინა. ოჯახის თითქმის ყველა წევრი (გარდა, შეიძლება, მამაკაცისა) ორ წილ დროს სახლში ატარებს და თუ მათი სადგომი ნესტიანია, ვიწროა, შიგ გაფუჭებული ჰაერი ტრიალებს—ცხადია, ასეთი ოჯახი აღრე თუ გვიან უნდა ან ამოწყდეს, ან და საუკუნოთ დასწულებს. ამ მხრით თუ გავშინჯავთ ჩვენს თფილისს—დავინახავთ, რომ ის ერთიანათ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ექიმი არტემიევის უკანასკნელი გამოკვლევა ნათლათ ამტკიცებს, რომ ქალაქის მცხოვ-

რებთა დიდი უმრავლესობა სახლის პატრონების თვით-ნებობაზეა მიშვებული. ისინი აქირავებენ სახლებს მამასისხლათ, ხოლო სადგომების ჰიგიენურათ მოწყობაზე სრულიადაც არ ფიქრობენ. ევროპის არც ერთ დიდ ქალაქში არ არის სახლები ისე ძვირი, როგორც აქ, და იმავე დროს არსად ისე ცუდათ მოწყობილი, როგორც აქ. სიმდიდრე აქაურ სახლის პატრონთა აშენებულთა იმ მდგმურთა ძვლებზე, რომელნიც ყოველ წლივ დასწულებულნი იხსოვებიან ბნელ სარდაფებში და დანატოვებულ ბინებში. და ამაზე უსასტიკესი ექსპლუატაცია კიდევ შეიძლება? დრო არის საზოგადოებამ მაინც მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და თავის თავი დაიხსნას ამ უმოწყალოთ დაჯახებისაგან.

* *

მეტათ სამწუხარო სურათს წარმოადგენს ღურგალთა ამხანაგობა „შრომა“. ამ ამხანაგობას ყოველ მხრიდან დასვეიან ისეთი კაცები, რომლებსაც წესდების ძალით არავითარი უფლება არა აქვთ წევრებთ ირიცხებოდნენ, და ლამის ნამდვილი წევრები გარეთ გამოყარონ. როგორც მისი სხდომების ანგარიშიდან სჩანს, აქ მონაწილეობას იღებდნენ ინტელიგენტებიც და გვიკვირს, რატომ არ მიუქცევიათ ყურადღება წესდებისათვის და თავის თავისათვის არ უკითხავთ, რა უფლებით ვართ აქ ჩვენო. „შრომის“ წესდება 13 მაისს 1900 წელს დაუმტკიცებია თინანთა სამინისტროს. მაშასადამე, ის სავალდებულოა ამხანაგობისათვის. პარაგრაფი მე-17 და მე-23 ნათლათ ამბობს, რომ „შრომის“ წევრათ მიიღება მხოლოდ ის, ვინც პირადათ ჩამბულია ამხანაგობის მუშაობაში, ე. ი. ღურგლობაში. ცხადია, ამხანაგები უნდა იყვენ ღურგლები და არა სხვა ვინმე. სამინისტროს ამხანაგობის საძირკვლათ დაუდვია ღურგალთა შრომა და არა აქედან-იქიდან მოკრებილი ფულები. და მერე სრულდება ეს? სრულიადაც არა. „შრომის“ კრებებზე ღურგლები-კი არა ჩანან, არამედ სრულიად სხვა ვინმეები, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ რაიმე ხელოვნობასთან. ესენი თავმჯდომარეობენ, ლაპარაკობენ, ირჩევენ, მათაც არჩევენ—ერთი სიტყვით, ბატონობენ. ვიმეორებთ, წესდების ძალით გარეშე ხალხი წევრათ არ შეიძლება იყოს და თუ ამხანაგობის კანონიერობის დაცვა სურთ, წევრობა უნდა დატოვონ. მაგრამ ამათი გასვლა ნიშნავს საწევრო ფულის წაღებას, რაიცა ამხანაგობას გასაჭირში ჩააყენებს. ამისათვის საჭიროა, თუ მათ მართლა გული შესტკივათ საქმისადმი, თავისი საწევრო ფული დროებით დაუტოვონ ამხანაგობას და როცა ის წელს მოიმაგრებს, ნაწილ-ნაწილათ ან ერთათ უკან დაიბრუნონ. რაც შეეხება იმას, კენჭის უფლება სრულ პაიან წევრს აქვს თუ არა სრულიანსო, რასაც კამათი გამოუწვევია უკანასკნელ კრებაზე, ეს ირკვევა მე-15 პარაგრაფით. აქედან სჩანს, რომ საზოგადო კრების ნება-დართვით, წევრათ შეიძლება იყოს ისეთიც, რომელსაც სრული პაი არა აქვს შესრულებული, და რაკი ის წევრია, ცხადია, არჩევის უფლებაც აქვს.

* *

კარგი იქნება ყველა ამას დღევანდელი, 28 იანვრის, კრება გაითვალისწინებდეს და კანონიერ გზას დაადგობოდეს.

კიათურის მსხვილ მწარმოებელს ბ. ემერიკს უებარი

წამალი გამოუგონია შავი-ქვის კრიზისის შესასუსტებლათ. საკმარისია წვრილ მწარმოებელთ ყელში თოკი მოაბათ და საქმეც გაიზარება! და რომ ეს ასეა, სიანს მისი წვრილიდან, რომელიც 20 იანვარს „ნოვ. ობ.“-ში დაიბეჭდა. ის ამბობს, კრედიტი ნუ მიეცემა წვრილ მწარმოებელთ, თორემ სულ დაიღუპებიანო. ანუ, გასაგები ფენით რომ ვთქვათ, იმათ ბანკების მაგიერ ჩვენ, ექსპორტერები, მივცემთ კრედიტს და ასე ჩვენს ბაღეში გავაბამთო. და მართლაც, წარმოიდგინეთ, წვრილ მწარმოებლებს აქვთ ბანკებისაგან კრედიტი, საზღვარ გარეთ ყავთ მუშტარი და სხ. მაშინ ხომ დარჩა ულუკმით ბ. ემერიკი და კომპანია? და აი, ამაზე სტირის ეს გულადი მრეწველი, ის ამბობს პირდაპირ იმას, რაც მისთვის სასარგებლოა, სხვა ყველაფერი ლაპარაკის ღირსათ არ მიაჩნია. მაგრამ ვეჭვობ, რომ ბ. ემერიკი ევროპიელი კაპიტალისტი იყოს, ის კაპიტალისტი, რომელიც მხოლოდ თავისუფალ კონკურენციას თხოულობს და არა მოწინააღმდეგეთა განსაკუთრებითი ზომებით ხელფების შეზღუდვას არა, ბ. ემერიკი ჩვენებური, პოლიტიკური ზომებით აღჭურვილი კაპიტალისტია და სურს ძალაში გამდიდრება...

სხვა-და-სხვა ამბები

ქუთაისიდან იუწყებიან: 19 იანვარს სამხედრო გუბერნატორს მოუვიდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ქალაქი შესახებ ბ. ლოლუას პასუხის გებაში მიცემისა. ამგვარათ, ბ. ლოლუა სამსახურიდან უნდა იქნეს გადაყენებული. ბ. გუბერნატორმა უკვე გაუგზავნა მთავარ-მართველს შესაფერი მოხსენება და თან ბ. ლოლუას თხოვნაც სამსახურიდან დათხოვნისა ავადმყოფობის გამო. 29 იანვარს ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე დანიშნულია ქალაქის თავის არჩევანი.

დღეს, 28 იანვარს, დილის 12 საათზე, თავდაზნაურთა ბანკის დარბაზში დანიშნულია კრება ქართულ სახალხო წარმოდგენათა და კითხვათა შესახებ. სახალხო წარმოდგენათა გამგე სექცია უმორჩილესათ სთხოვს დაესწრონ აღნიშნულ კრებას, ვისაც-კი გული შესტკივა ამ საქმისათვის და შეუძლიან მოუტანოს რამ სარგებლობა სიტყვით ან საქმით.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას ქუთაისში განუზრახავს გამართოს სასოფლო მეურნეობის შესახებ ლექციების კითხვა ადგილობრივი თეატრის დარბაზში. როგორც რუსეთის გაზეთები იუწყებიან, სახელმწიფო საბჭოს უკვე დაუმტკიცებია ამიერ-კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვა 1901 წლიდან 1903 წლის დასასრულამდე. საერობო საღარაჯო რაზმის შენახვა აღნიშნულ ხარჯთ-აღრიცხვით დაჯდება 2.300,000 მანეთი.

გაზეთ „ცნობის ფურცელს“ სწერენ ქუთაისიდან: „როგორც შევიტყვეთ, ქუთაისში არსდება ახალი ამხანაგობა, რომლის მიზანია მეტოქეობა გაუწიოს დიდ ვაჭრებს. ამხანაგობა შესდგება უმეტესათ წვრილი ვაჭრები

საგან; საწვერო ფული იქნება 100 მანეთი. ამხანაგობა საქმეს დაიჭერს დიდ სავაჭრო სახლებთან და გამოწვევით საქონელს შეძლების-და გვარათ იათათ მისცემს თავის წვერთ; ამასთან ყველაფერზე გადაჭრილი ფასები ექნებათ დანიშნული.

ახალი საღერბო წესდება შემოდებულ იქნება 15 თებერვლიდან. იუტანეთ. მე დიბოლოუხანიმიუ. სიონ ფორგულეტ თე ინტე-პიპოლ ნომ. შინან. თუიობოქსონ გახ. „ნოვ. ობოზ.“-ს სწერენ ბაქოდან: „ბ. მენკენდორფის მანქანების საკეთებელ ქარხანაში, რომელიც იმყოფება ს. საბუნჩაში, 15 ამ თვეს მუშებს პირი შეუკრავთ და სამუშაოზე ხელი აუღლიათ“.

იმავე გაზეთის სიტყვით, ბაქოელი ცნობილი მილიონერი მუსა ნაგიფი ამ ჟამათ დაპატიმრებულია ადგილობრივ სატუსალოში. დაპატიმრება მიუსაჯა თფილისის სამოსაპართლო პალატამ სამის თვით იმის გამო; რომ მან არ მიიღო სავალდებულო ზომები წინააღმდეგ ცეცხლის გაჩენისა ნავთის ქარხანაში, რის შედეგიც იყო ის, რომ დაიწვა რამდენიმე მუშა.

ადგილობრივ გაზეთებს სწერენ ბაქოდან: 21 იანვარს, საღამოს 7 საათზე, „თეთრ ქალაქში“ ცეცხლი გაუჩნდა შენობას, საღაც 5 მილიონი ფული მაზუთი იყო. 22 იანვარს, საღამოს 7 საათზე, მაზუთმა გამოარდვია შენობა, დაიწვა ბევრი სახლი, ეკლესია, ტელეგრაფის მავთულები კრასნოვოდსკის კაბელისა. ნახეს 8 მკედარი და 20—40 დამწვარი.

სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს მოხელეებისაგან შემდგარი კომისია არჩევს იმ პირების განცხადებას, რომელთაც ჰსურთ ჩატმის (შირაქი) ნავთიანი ადგილების დამუშავება. გასაცემია ამ ადგილში სულ 242 ნაჭერი მიწა.

შეტკებულადან ვაკუუმიანებს შეიძვეს ამბებს: ცნობილი თეზიოდოვი აკადემიკოსი ივანე რ. თარხნიშვილი 8 იანვარს უკვე დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და 15 ამ თვიდან დაიწვეს კითხვას „სოფლისაი გორდოკში“ თვისი ზოპულაირული დაქციებისს „ბიოდოკასე“. სულ დაქციება ათამდე იქნება და გასტანს მარტის დამლევამდე. ბ. თარხნიშვილი ამ დაქციებს წელს შესემეჭრას, რაც კითხულობს და მისი აუდიტორია მუდამ სავსეა შესენელებით. უეჭველია, წელს მისი დაქციები წინანდელებზე უფრო სინტერესო იქნება, რადგან იგი შეავსებს მათ ახალი ცნობებით, მეტნიერულ გამოკვლევებით, როგორც, მაკ. რუსეთის გამაჩენილ თეზიოდოვის ბ. მუხნაკოვის (რომელიც ზარეში ზასტურის ინსტიტუტში მუშაობს) ახალი გამოკვლევით მოხუცი ადამიანის ვაჯახსადების შესახებ და სხ.

ჩვენს ახალგაზდა კომპოზიტორმა მედიტან ბაღანჩივამ თვისი უკვე დასრულებული ოპერა „თამარ-ცბიერი“ გადასცა სტამბას დასაბეჭდათ. ხარჯის გაწველათ ამ საქმისათვის ბ. ბაღანჩივას დადამხენია თფილისის გუბერნიის თავდაზნაურ-ბაის წინამძღვართ ნამეფი თაგ. კ. ბავრატონ-მუხრანსკი, რისთვისაც მას დიდათ მადლობელი დაწებიათ როგორც თვისი თანამემამულენი, ისე რუსეთის საზოგადოებაც, რომელიც მოუ-



თქვენათ მოკლის ზირველი ქართული ობიექტის გამოქვეყნებას.

— ერთ ახალგაზრდას უთარგმნია, და ზოგს ახლა სთარგმნის, შემდეგი ახალი წიგნაკები გამოსცემთ: В. Д. Данилевский — „Народный домъ и его общественно-воспитательное значение“, К. Бюхеръ — „Экономическія задачи современныхъ органовъ городского самоуправления“, Л. Зак — Народныя переписи и значение статистики. მთარგმნელს განზრახვა აქვს, თუ გამომცემელი აინინა, ერთ სსდმსახრ წიგნათ გამოცეს.

უხვიდგან გვწერენ: ამ დღეებში აქ გარდაიცვალა 22—23 წლის ახალგაზრდა ქართველი მისწავლე თეიმურაზ გვათუა (ზუგდიდის მახრდიან). საბრალო აქეთ წამოსულიყო სწავლის შესაძენად და თუმცა შევიწროებულ ზირობებში იყო ნივთიერათ, ხშირად აკლდა სკოპელ-სამუელი, ტანისმოსი და სხ., მაგრამ მისი ენერჯია მანც ვერაფერმა ვერ შეასუსტა და ავადმყოფობამც წიგნი ხელიდგან ვერ გააგდებია. იმას გამოაჩნდა ჩქარი ქლეჯი და სულ რამდენიმე დღეში ბოლო მოუღო. განსვენებული შესაფერა ზეტივით დავასოფლავეთ. განსაკუთრებით დიდი ზეტივი გვცეს სომხების ახალგაზრდობამ, რომელმაც განსვენებულის კუბოს გვირგვინი დაადგა. მისი გადაცვლის მიზეზი მისი სიღარიბე იყო და არა სხვა რამე. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ენერჯიანო ახალგაზრდა!

ქართული მხარის მოთხოვნები.

ქართულა. შავი-ქვის ფასები ისე დაეცენ, რომ ამ უამდ თითქმის არავითარი მოძრაობა არ არსებობს ჭიათურაში. ამგვარი მიზეზები მიეწერება უთუთ მიწის გასაღებს კარგი ქვის მავიერ. დღეს ჭიათურას და ჭიათურაში იქმნება დამზადებული ბაქნებუდ 40.000,000 ფუთი, ამასი უნდა ვინაზარიშით 25 მილიონი კარგი დირხების ქვა, სხვა მთლათ მიწას. ამისათვის ვერძობელი მექარხნები შეშინდენ და ჩვენი ჭიათურის მისვილ მწარმოებლებმა ნდობაც დაკარგეს მათ შორის. ქმკრიზისმა ზოგერთი ჩვენი წვრილი მწარმოებლები შეაერთა და წვრილ-წვრილი ამხანაგობები დაარსებია. ესენი მეტადინებენ საზღვარგარეთ მოუხვონ ბასარი შავ-ქვას სურთო ძალით, მაგრამ აქაც ცოდნა არის საჭირო. თუ ზედმიწევნით არ იცის ჩვენმა მწარმოებელმა ვერძობის წეს-წყობილება და მათი ადებ-მიცემობის კანონები, ბევრში მოტუეილდება და ამისათვის საჭიროა, ჩვენმა ახლად შემდგარმა ნორმამ ამხანაგობამ მოძებნოს მტლანუ და საიმედო კაცი ვერძობის ბასრებისა და ასე აკეთოს საქმე. ამისთან კარგი იქნება, თითოეული გუნდი ამხანაგობისა შეერთდეს გაუიდეგში, ანუ ვერძობის ბასრის მოძობაში, რომ ერთმა-მეორეს ცილბობა არ გაუწიოს და გასაყიდათაც კარგი დირხების ქვა გაიტანონ. კარგი დირხების შავ-ქვას დღესაც ჭეყვს მუშტარი, მაგრამ ამგვარ ქვას დღეს ჭიათურის ბაქნებუდ ძვირად შეხვდებით, ხოლო მომავალ დრთისათვის ეველას შეუძლია, ნამეტურ მემამულეებს, დაამზადონ კარგი შავი-ქვა, თუ მოინდომებენ. ვისაც დღეს ჭიათურის ბაქნებუდ თუ სხვაგან უწევია, ის 45% მეტი არ გამოვა საშუალო რიცხვით და შეიდეგლი-კი თხოულობს ორმტლანდრიდან ორმტლანდათ ზოტენტიანს შავ ქვას. ამისათვის მისვილ მწარმოებლებს დღეს უძნელდებათ კარგი ფასების მოზოგება და მისთან შეიდეგლიც დაშინებულაია, იცის, რომ შავი-ქვის ნაცვლათ მიიღებს მიწას. დღემდის თითოეული უცხოელი უიდადა საზღვარგარეთ ერთი მილიონიდან ხუთ მილიონამდის

შავ-ქვას, თუმცა ჭიათურაში ერთი კენჭიც არ მოეზოგებათ, მაგრამ ადგილობრივი მწარმოებლები მას აწვდიდენ უოველთვის დაზმზადებულს. ადგილობრივი შემამულენი უნდა ცდილობდენ კარგი ქვის გაუიდეგს და დამზადებას, თორემ სახელი უტუდება ჭიათურის შავ-ქვას ევროპაში.

ჩვენც შევადგინეთ ამხანაგობა შვიდი მწარმოებლიდან; ამხანაგობას სახელათ აქვს „полное товарищество поднаименованиемъ Бр. Какабадзе и К-и“. და ვუმეცადინებთ ბასარი მოუხვოთ ჩვენს ქვას საზღვარგარეთ და მისთან იაფი სესხიც და კიდევ დაიმედებულეი ვართ, რომ მოხანს მივაღწევთ მალე. სასურველია სხვა მწარმოებლებიც შეერთდობდენ ამგვარივე მიზნით.

ილია კაკაბაძე.

ს. აცანა (გურია). კარგა ხანია, რაც აცანის ეკონომიურ ცხოვრებაში ფეხი მოკიდა მოსალოდნელმა ცვლილებამ, რომელიც დღითი-დღე ვითარდება და მატულობს. ხალხი აქ ძალის შევიწროებულაია მამულის დაწვრილმანებით, რაც გურიის სოფლებში ამ მხრივ ჩვეულებრივი მოვლენაა; რა თქმა უნდა ხალხი უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ვარდება, რცა ხედავს, რომ უმთავრესი დედა ბოძი მისი მატერიალური კეთილ-დღეობისა, მამული, ხელიდგან ეცლება და სრულიად ვერ აკმაყოფილებს იმის დღევანდელ რთულ შინაურ და გარეშე მოთხოვნილებას. რაკი მამულმა უმტუუნა და ეს ერთად-ერთი სასნარი არსებობისა აქურებს ხელიდან გამოეცადა, მაშინ-კი აქურების შინაური მდგომარეობაც შესამჩნევათ შეიცვალა. ხალხი გაიყო ორ ნაწილათ. ერთმა ისევ სახლში დარჩენა არჩია და ხელი მოჭვიდა ჭურჭლეულობის კეთებას (დოქის, ქოთნის, ჭურის და სხ... აგრეთვე ჩინგურების და სხვა-და-სხვა საოჯახო ნივთების კეთებას) და ეს ცხოვრების იარაღად არჩეული ხელბობა გვარის შემოსავალს აძლევს მას ასე, რომ თითქმის უოველსავე მოთხოვნილებას უკმაყოფილებს. ჭურჭლეულობის ხელბობისთან ერთად ადრძინდა მეზბრეშუმობაც და უოველ ოჯახს ის გაუხნდა საზოგადოებლათ. ამ შრომაში, რასაკვირველია, აზნაურობაც შეუკრია. ამ გვარათ ეს ერთი ნაწილი სახლში დარჩენილი ხალხისა მატერიალურათ ისე დაქვეითებულნი არ არიან. როგორც მეორეები. მეორეებმა-კი ამგვარი შრომა უარ-ჭეყეს და გაეშურენ ქალაქში, მაგრამ, საუბედურათ, ქალაქმა ვერ გაუწია იმათ კარგი დედინაცვლობა. ისინი სრულიად ვერ შეურიგდენ ქალაქის ცხოვრების ზირობებს და იძულებულნი გახდენ ისევ შინ დაბრუნებლილად. ასეც იქნა. მაგრამ, სამწუხარათ, აქაც ვერაფერი გააწევს. ის შრომა, რომლითაც მათი თანამომძეები საარსებო ჭანანს ეწევიან, ამით დიდი ხანია უარ-ჭეყეს და სხვა მადანი-კი არა უოფილა აქ სათხრელი; ამ გვარათ ერთი ნაწილი შრომობს, ოფელს ღვრის საარსებო ზურის მოსაზოგებლათ; მარა მეორე ნაწილი უქმათ არის და შესცქერის სხვის ნაშრომს; ხოლო მშრომელ მოძმეს დასტინის და მასხარად იღებს. ეს თვით სამსახრო და ქარაფშეუტა ადამიანები, რაც ძალი და ღონე აქვთ, გაჭევირიან: არ გვიხდა სკოლა, არ გვიხდა სამკითხველო, არ გვიხდა საჭალებო სკოლა, ჩემს ცოლსაც არ უსწავლია, მარა, კარგ „თორთქელ“ ჭადს მიცხობს! მე რომ არ მისწავლია, ვითომ რა? დვინოს ვერ დავლევ, მე შენ გეტყვი, გამაჯარებს ვინმე, ვერ შეგტყვავ, თუ რა?! ამ უფიც ზარტისან მეთაურობს ორი სამი ორთღ აბაზიანი ზოტენტიანთქინდრ გასუქებული ვაჟბატონები. რაც უნდა საკეთილ-დღეო რამ დაიწყო, თუ ამ ვაჟბატონებს არ უნდა, უბრძანებს თავის ბრიგადს და შეიქნება ერთი არ გვიხდა, არ გვიხდას ევრილი. იმის-კი არ კითხულობენ თუ

რას გვეუბნებიან. ამის მაგალითია საქალბო სკოლის დაარსება. ეს უთავბოლო მუშაობა ხალხი თავიანთი ბელადებით იძენს სწავლას, რომ აცნის საქმეები სულ უკან და უკან მიაქვთ და მიაქვთ. ასეთია აცნის დღევანდელი მდგომარეობა.

გ. ურატაძე

ჩვენი შინაური საქმეები
ამათ წელიწადში

დღითა სკოლის დაარსების განზრახვა.—სამკითხველოები.—სახალხო შაურთან წიგნების გამოცემა. სხვა და სხვა ფონდები.—საკვირაო სკოლები.—სახალხო თეატრი.

ღთი წლის წინათ არაფერ სანუგეშოს წარმოადგენდა ჩვენი შინაური საქმეები. სხვა საქმე-მომქმედო საზოგადოება გვეჩვენა: დაუბრუნებელი წერ-კითხვის საზოგადოება, თავდაზნაურთა სკოლის კომიტეტი და დრამატული საზოგადოება. არც შურნაღ-გაზრდით ვიყავით მდიდარნი: გვეჩვენა მხოლოდ უფიქროსი „ივერია“ და „მწყემსი“, რომლის კითხვითაც მაინც და მაინც თავს არავინ იტყნდა. და კიდევ ის იყო ახლათ და არსებული საემწიფილო შურნაღი „ჯეჯილი“. კინაღამ დამავიწყდა, ჩვენ გვეჩვენა კიდევ ერთი დაწესებულება დიდი ბაქიბუქით და არსებული—წიგნების გამომცემელი საზოგადოება.

ახლა ამათ წელიწადში დიდი ნაბიჯი გადავდგით: არა თუ რუსეთს, ღამის ევროპასაც გავსწრით. მართალია, ზემოთ ჩამოთვლილი საქმეები ზოგი მიუაძინეთ კიდევ, ზოგი კუნ ნაბიჯით მიდის, მაგრამ მაინც უფიქროსს არ ვიშლით, დიდი სურვილი გვაქვს ევროპის განათლების ფერხულში ჩაგვხატო. ეგულა ამ ჩვენ შინაურ საქმეებს თავთავისი ზატარა ისტორია აქვს. ეგულა ეს ჩვენებური გულწრფელობით არის დაწესებული და ჩვენი დახმადობისა და დახმადობის სენით—ძმების გაუცნაობით—მივდებოდა, მიძინებოდა, ჩაფიქროდა. ერთი თავისი გადაწყვეტით მინდა მკითხველს ვუჩვენო, როგორ მიგვეყვას ჩვენ ჩვენი შინაური საქმეები.

ეგულაზე უწინ ჩვენებმა იგრძნეს საჭიროდ დედათა სკოლის დაარსება. თითქმის ერთ და იმავე დროს სხვა-და-სხვა ოჯახებში იოთქა აზრმა, რომ ოჯახის საბუნებროდ აუცილებელი საჭიროა ოჯახის დედა ბაძის—ქალს მიეცეს ჩვენთვის გამოსაყენი ცოდნა, განვითარება და რომ უნდა ჩვენ უგუდმართ სკოლებს წინ დაუყენოთ ჩვენი ოჯახისთვის გამოსაყენი ქართული დედათა სკოლა. ქალებმა გულ-მხურვალეთ მისცეს ხელი-ხელს ერთმანეთს, სთავუში ჩააყენეს დიდათ ზატყვებული ქალი კნ. მ. გ. არბუღიანისა, რომლის მეთაურობითაც დაარსდა კომიტეტი, და ეს კომიტეტი მიუჩინეს როგორც განყოფილება თავდაზნაურთა სკოლის კომიტეტს. დატრიალდნ ჩვენი ქალები, დაიწყეს ფულის მოგროვება, ქადაგება სკოლის საჭიროებაზე; დედათა სკოლის ზრდადამის გამოსარგვევით მათ მიუშველნ მამაკაცები, ჩვენი ზედაგოგები,—გახადდა საქმე. შორიდან მყოფრებლები იტყოდნ (იმათ შორის, მეცა, ჩემო მკითხველო), რომ ეს ძალა არა თუ დედათა სკოლას დაარსებს, სხვაფერიათაც თავისიანებს დიდ ბუნებრობას მიახიჭებს. გამოიჩვენა თუ არა—რატომის სკოლა გვესჭიროება ქალებისთვის, მაშინვე მამაკაცები გადგნ განზე, თითქმის მხოლოდ ქალების საქმე იყო სკოლის სახსრის მოძებნა. ამ სკოლის კომიტეტში იღებდნ მონაწილეობას წარჩინებულნი ზირნი, დარბაისელი ქალები და აი ამ კომიტეტში გამოიჩვენა შემდეგი აზრი: „სხამ ასი ათასი და ოცი ათასი თუმანი არ გვეძებება, საქმეს ვერ დავიწყებთ, ვაი თუ

შუა გზაზე შეგზრდეთ და საქმეს თავი ვერ მოვაბათო, სკოლა უნდა დავაარსოთ ზანხიანით და შუა ქალაქში, თორემ ჩვენ ვერ ვაუწყებთ „ზატრინესობას“ და ამისთვის აურებელი ფულია საჭიროა“, და შეუდგა კომიტეტი სახსრის გამოძებნას. არც შორის, არც გამოკანახობას არ ზოგავდა, მაგრამ, წარმოადგინეთ, უფიქროსი წლივ ორას-ორასი თუმანიც რომ მოგროვებინათ, მაინც ისეთ დროს მოგვესწრებოდა ეს სკოლა, რომ ქართული ესა, ვინ იცის ჩვენი, საარსებლოცა გამოდაროცა, მაგრამ რადგან ეგულა დას გული უსწრათოდა ჩქარა მოგვესწრებოდა დედათა სკოლა ჩვენი საზოგადოება თითონ ცდილობდა გზები ეჩვენებინა ამ დიდი სახსრის საზოგადოებათ და ეგულამ თავლები მიაზერო ბანკს, იმ ბანკს, რომლისგანაც სულ ეგულანი უგვადვ სიცოცხლეს მოგველოდა. „სულ ვაუბები და ვაუბები, ჩვენ რადა უკანონო შეილები ვართ, რომ ბანკი ჩვენზე არა იქნებოს“, ევირდენ ცხარეთ ქალები. ამ ხმას აჭედა კომიტეტიც და ცდილობდა ბანკის დახმადობის გამოცენას რამე. დაიწყეს მიწერ-მოწერა, თხფნა, ხეწნა-ვედრება, შინაური მოღაწეობა ბანკის მმართველებთან,—მაგრამ ფული-კი არსადან ჩნდა. ამ დროს, როგორც ესმდებოდა მკითხველს, ჩვენ ბანკობის ვთამაშობდით: შფოთი, ლუკმის გაზოგვევა ზირიდან, ზირველობის დაჩემება და აი ამ უბედურ დროს შეესწრა ქალებს დედათა სკოლისთვის სახსრის ძებნა.

მე, როგორც ერთი უსაქმური კაცი, ხშირათ დავდიოდი ბანკის კრებებზე და ორი ეზინოდი დედათა სკოლის შესახებ ჩემ და უნებლიეთ ჩამებეჭდა გონებაში. ერთხელ, შევედი თუ არა ბანკის კრებაზე, ვნახე, რომ ორიოდ ქალი ჯგუფათ იდგნ და რაღაცას ცხარეთ ღაწარავებდნ; დაუწყვე ცნობის მოყვარებით გარშემო ტრიალი, იქნება რამე გავიგო-მეთქი. „ამისთანა საქმი იქნება, რომ ჩვენი ქალადი დედათა სკოლის შესახებ არც-კი წაიკითხეს, მიაფიქრეს, არაფრათ ჩავავადეს, უური არ გავთხოვეს!“—„რას ცხარობ, ქალი, უთხრა მეორემ, — აი, ჩვენი კატო, წამოდგება კრებაზე და იტყვის ორიოდ სიტყვას სკოლის საჭიროებაზე.“—არ შემიძლიან, არ შემიძლიან დაიძინა კატომ და გაეშურა დარბაზში ადგილის დასაჭერათ, მეორე ქალი გაჭედა მის ფეხ-და-ფეხს. „რა თამაშა იქნება, ვინმე ქალმა რომ იღაწარაკის ამდენს დარბაზში“, გაფიქრე მე და გავევი ქალების და იმათ შორი-ახლოს, შესავალ კრებაში, დავდეკი.

დარბაზი დელავდა. აურებელი ხალხი იყო. ისეთი ხმაურობა იდგა, თითქმის ბრძოლის ველზე აზირებდნ გამოსვლას. სწორეთ არ ვიცი, რომელ წელიწადს იყო ეს ამბავი, მისხრეს მხოლოდ, რომ ამ კრებაზე შეკავშირდა მანბლის და გარის თავდაზნაურთა წინამძღოლის ზატრები. დეს უნდა განაწილებულიყო ბანკის მოგება. მე თავლს არ ვაშორებდი ქალებს. ერთბაშათ, თითქმის ვიღამაც წაჭრა, წამოვარდა ეკ. გაბამვილისა ადელგებული. სიტყვების უღაწვით მოჭედა ღაწარავს ჩვენი ოჯახის დაცემზე, ჩვენ სიღარბებზე, ქალების აღზრდის საჭიროებაზე და რომ მხოლოდ ქალების განათლების შემწეობით შეუძლიანთ ოჯახის ფეხზე წამოყენება. საზოგადოება ხმა-გაკმენდილი სმუნათ იყო გადაჭრული. დარბაზში ისეთი სიჩუმე იყო, რომ ბუზის ფრენაც-კი ისმოდა. ქალს ადელგებით ტირილი მოუვიდა. ტაშის კვრამ ჩახუმა. ჯერ არ შეუწყვილიყო ტაშის ცემა, რომ ესტრადაზე წამოდგა ივ. მანბელი და დახლოვებით შემდეგი თქვა: „დედს ზირველ მაგალითს ვხედავთ, — ქალი ღაწარავობს, ქალი იცავს თავის უფლებებს, ამასაც მოვესწრით, ეს ბუნებრო დედე დავადგა, დედათა სკოლის საჭიროებას ეგულა გრძობს, ეგულა ხედავს. (აქ იმან თქვა კიდევ რამდენიმე სიტყვა ქალების აღზრდის საჭიროებაზე). ჩემი მხრივ დავძენ, რომ აუცილებლათ საჭიროა დედათა-სკოლას დავუხმაროთ. ამიტომ ვთხოვ კრებას



დაუნიშნოს გარის დედათა სკოლას ასი თუმანი*.) ამ დროს ვინაჲ უცნაური რამე: ერთი ქალი ადელგებული წამოვარდა და ისეთი მუქარით გამოეშურა კარებისკენ, თითქმის ვისმეს ცუძს უზიარებდა. გზაზე ვიდაც ხანრობი გადაედგა და უთხრა: „დაშვიდდი, ქალო! это избирательный маневръ“. ქალი ერთ წამს შედგა, სული მოიბრუნა და მერე გავარდა გარეთ.

გავიდა სამი-ოთხი წელიწადი. ქალები ისევ ისე გრძობობით აგრძელებდნენ ფულს, იგონებდნენ სხვა-და-სხვა საშუალებას და თუძცა ბანკი მივიწყებულ იარაღს, მანინ ბეგრს ახსნ მთელად. როგორც-კი ბანკის კრებებზე დედათა-სკოლის შესახებ ჩამთავრდებდნენ ლაზარაკს, ბანკის თავმჯდომარე იტყოდა: ცოტა დაგვაცადეთ, ქარვასლა განთავისუფლდება და ერთბაშით მიიღებთ ფულს. ქალებიც მშინვე ჩხუმიდებოდნენ.

შეოთი და აურ-ხაური ბანკის მიხეზით ყველას სენათ გადაქცა. ყოველ წლივ არიკებდნენ ფულს: ეს კაღაო, ეს საცხენისის სკოლაო, ეს ხელეკაო, ეს კანეთის რკინის გზის ბრეჟქოო, ვის აგონდებოდა დედათა სკოლა, რომლის დასრუბა კომიტეტმა ბანკზე დაამყარა. ადარც ქალები იტლიდნენ სკოლისთვის, ისინიც ზარტიობას თამაშობდნენ. მისთვის კიდევ დედათა სკოლის შესახებ მეორე ენიზადი: ამ დროს თურმე ზოგიერთ ქალებმა ერთი კიდევ სცადეს ხმის ამოდება. მეც სწორეთ იმ დღეს შევესწარ ბანკში, როდესაც უნდა განსწავლიათ მოგება. ეს ქალები არიკებდნენ რაღაც დაბეჭდილ ფურცლებს, ცხარეთ ლაზარაკობდნენ, ედავებოდნენ კაცებს, ცდილობდნენ მათი უურადლება მიექციათ. „ესენი ადარ ხუმრობენ-მეთქი, ვითქვამს, საზოგადოებას ამზადებენ, იქნება მართლთა თავისი გაიტანონ, დედათა სკოლას რამე ედირსოს-მეთქი, და დაუწყვე ქალებს თავის დეგზა. უცბათ შევამხნიე რაღაც ჩიხქალი. ერთი იმათგანი იწყოდა კულისებისკენ და იძახდა: „უნდა დავეკითხო, არ იქნება“. მეორენი არ უშვებდნენ. ამ დროს თვით ქალების კომიტეტის თავმჯდომარეც გამოჩნდა ლოყაში. ხალხი დაბინავდა თავთავისათ ადგილას. ჯერ სიხუმრე ჩამოვარდა, მერე დაიწყო სათითაოთ ლაზარაკი. დედათა სკოლის დასრუბის უსაჭიროებაზე უფრო ნიეტრადები ლაზარაკობდნენ. ამ საკანმა თითქმის შეაერთა მთელი დარბაზი, ყველა სიმშატოურათ ლაზარაკობდა სკოლისთვის თანხის გადადებაზე. ამ დროს წამოდგა დამ. მუსსელაშვილი და თავისი ბახის ხმით თქვა დასწლოვებით შემდეგი: „დედვანდე კრებას ეტყობა, რომ ყველა თანაურდობის ამისთანა სიმშატოურ საქმეს, როგორც არის დედათა სკოლა. ამიტომ კარგი იქნება, რომ ეს ჩვენ სიმშატოა საქმით დავამტკიცოთ, ვითხოვ, რომ წრეულს გადაიდოს ხუთასი-თუმანი დედათა სკოლისთვის. და „ბრეტაკოლში“ შეტანილი იყოს, რომ ყოველ წლივ მიეცეს ხელში მათ ხუთას-ხუთასი თუმანი. „მუსსელაშვილს ჯერ არც-კი დაესრულებინა სიტყვა, რომ წამოდგა ბანკის თავმჯდომარე დიდათ ზარტივებული ილია ჭავჭავაძე და წარმოთქვა დასწლოვებით შემდეგი**): „ეს დიადი საქმე ყველასთვის საკანებლათ უნდა იყოს, ხუთასი თუმანი რას გახდება! მე რომ ვკითხოთ, ქალების აღზრდა ვაყვებისაზე უფრო საჭიროა, ბანკის მთელ შემოსავლს გადავუდებდი მკ სკოლისთვის. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ—ბეგრი მოგი-თმენიათ და კიდევ ცოტა მოითმინეთ, ქარვასლა განთავისუფლდება ამ ცოტა ხანში და მშინ ერთბაშით მიიღებთ ასი ათას თუმანზე მეტს. რა სჯობაა, გკეთებთ, ასე ცოტ-ცოტა მიიღოთ,

თუ ერთბაშით მოგვეცით ისეთი თანხა, რომ სკოლა უზრუნველ ყოფილი იყოს?“ ამ კითხვაზე კომიტეტის თავმჯდომარე ენ. მ. გ. ორ—სა სრულიათ დავთანხმდა მას და მოინდობა ერთბაშით ასი ათასი თუმნის მიღება, ვიდრე ყოველ წლივ ხუთას-ხუთასისა.

ის იყო და ის. მიხუმდა დედათა სკოლის საქმე. მართალია, მას აქეთ ბანკს რომ ყოველ წლივ ხუთას-ხუთასი თუმანი გამოედო და რომ ამისთვის ქალებს მიემტკებინათ დიდი ვაივაგლანით თავიანთი მოგროვილი ორი ათასი თუმანი, იქნება ამ ცოტა ხანში ასი ათასს ბეგრი აღარა ჰქვებოდა-რა. ასე ამგვართ დედათა სკოლის საქმე განსაცდელშია, მოგროვილი თანხა თავდა-ხზაურათ სკოლის კომიტეტმა წაიღო შესახავათ—სარკებულს მიგი-თვლითო, მანინ თქვენ კარგა ხანს არ დატკირდებათო.—მანინ, რისთვის უნდა დასჭირდეთ!

მათუსალა.

(შემდეგი იქნება).


ბ ა ბ რ ა რ ი

დაქალამ გვწერენ იქურ ქართულ სამკითხველს შესახებ, რომ შარშანდელმა ბიბლიოთეკის გამგებამ, რომელიც შესდგებოდა იქურ თვალსაჩინო ზიროსან, ისე ცუდათ წაიყვანა ბიბლიოთეკის საქმე, რომ დღეს ახალ გამგეს ბნ მკვრავალიშვილს დიდი შრომა და ჯათა დასჭირდება მის გამოსაბრუნებლათ. გადამდგარმა გამგებამ არამც თუ დაკეტა ბიბლიოთეკა, არამედ გაკლია-გამოკლია, განსწავლა თვის შრომის წიგნები და ბიბლიოთეკის ავეჯიულობა, და რაც მათს ხელს გადურჩა, ის კიდევ ზოგი არაზინ იცის სად არის, ზოგი კიდევ უზტრანთო ურია ცის ქვეშა.

რით აინსება ეს გარემოება? რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ბაქალ ქართულებს, რომელთა შრომაც ურეკიან ისეთი ზირონი, რომ კერძოთ მათ შეუძლიანთ შეინახონ ერთი ბიბლიოთეკა, გაუჭირდათ და წააქციეს თეხზე დამდგარი საქმე? ჩვენ დაწმუნებულნი ვართ, რომ აქ შეძლება-შეუძლებლობას ადგილი არა აქვს, მიხეზი ამისა სულ სხვაა და აი სწორეთ ამზე მინდა მიუთითო მკითხველს.

უზირველესით სამკითხველს დასრუბის სურვილი აღიძრა ბაქალ ქართულებათ იმ წრის შრომის, რომელთაც შეძლება არა აქვთ თვითუელმა კერძოთ შეიძინონ წიგნები და გახუთებო. ამ შეუძლებელათ წრემ საქმე ბეჭითათ წაიყვანა და განხორციელა კიდევ სურვილი. შემდეგშიაც საქმე კარგათ მიდიდა, ვიდრე იგი იყო იმათ ხელში, ვინც ჰგრძობდა მის საჭიროებას, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთი ზირები, რომელთაც უნდოდათ მოწყალებს გამეჩინათ და ქველ-მოქმედი კალთა გადაეთარებინათ „უმცროს ძმებისთვის“. მაგრამ მარტო ამით არ დაკმაყოფილდნენ ისინი. მათ მოიწადინეს ბიბლიოთეკის წარმოებაც და საზოგადოთ მთელი საქმის ხელში ჩაგდება. რა აძულებდათ ამ ზირებს, რომ ასე მოქცეულიყვნენ? სუ თუ მართლთა ქრისტიანული გულ-კეთილობა, ან საქმისადმი სიყვარული? არა და არა! მათ აძულებდათ მსოფლოთ „თავის განდიდება“, რაღაც ზარტიოტული წვრილმანი თავ-მოყვარება, ყველა მათგანს „ბურჯათ“ მოჰქცნდა თავი და ჰსურდა წითელი მეღვინეთად ბეჭდილი იყოს მისი სამსახური „უმცროს ძმებისათვის“. ამ უკანასკნელთ უჩიობა არ გაუწიეს და გადასცეს კიდევ მათ საქმე. ისინი ფიქრობდნენ: ოდონდ საქმე კეთებოდნენ და რას დავდევთ, ვინ აკეთებს მას და ან რა სურვილითო. ფიქრობდნენ ასე და აი სწორეთ ამში მისტყუდნენ. საქმეს გამოეცადა ის ნიადაგი, რა ნიადაგზედაც აშენდა ის და

*) მე აქ მხოლოთ მისი სიტყვების დედა-აზრი მომყავს და ვისაც სურს უფრო დანამდვილებით შეტყობა, მიმართოს პროტაკოლს.
**) აქაც მხოლოთ დედა-აზრი მომყავს.



სარწმუნოდ დაეჭვა გაბურღილი თავმჯდომარეობა. საქმეს დაშორდნენ ისინი, ვინც სპირიტუალურ მანძილს და დაუხლოვდნენ ისინი, ვისთვისაც არ იყო იგი სპირიტუალური. ხალხი შედეგით ამისა ხომ უკვე ვიცით, ე. ი. ბიბლიოთეკის გაუქმება და მისი გაწვევა-გამოწვევა. მოწვეული გრძობებით აღსავსე ბატონებს იმდენათ თავიდაც არ დაუძღვებოდათ, რომ, როდესაც მათი ქველ-მოქმედური ხელი კლიტეთ მიეჭება ბიბლიოთეკის კარებს, ახგარიში ჩაეპარებინათ მათთვის, ვინც ადრეობდა თავდაპირველათ საქმე და ვინც გადასცა მათ. შეიძლება მათ კერძოთ მკერვალიშვილის*) წინააღმდეგ ბუფრი რამე ჰქონდეთ, მაგრამ იმის გამო განა ახუჩათ უნდა აკვდოთ დანახვინი ნაწილი საზოგადოებისა და მის დაუკითხავათ გადაწყვეტილთ ბიბლიოთეკის ბედი-ბადა! ეს უკანასკნელი გარემოებაც ნათლათ მოწმობს იმას, თუ რადენი სიუფარული ჰქონიათ ან საქმისადმი და ან ვისთვისაც საქმე უნდა კეთებინათ. ჩვენ სრულებითაც არ გვაკვირვებს საქმის ამგვარი შედეგი. ბაქოს ბიბლიოთეკის ისტორია საბუთია მხოლოდ იმისი, თუ რადენათ შეუძლებელია ქველ-მოქმედ გრძობებით „ხატუხალი ხადის“ გასწორება და თუ რადენათ მკვიდრია იმ საქმის საძირკველი, რომელიც-გი დაემარება ზევიდან გადმოწვდილს ქველმოქმედ ხელს.

ი. ხოსიტაშვილი.

«ლარიზ სტუდენტთა დამხმარებელ სამოქალაქოების» დაარსების შესახებ.

როგორც-გი ჩვენში ახალი რამ საქმე გამოჩნდება, ქართველი საზოგადოება უცნაურად ანთებს და დიდ ფიც-ფურცს შეიქმნის. მთელი მისი საზოგადოებრივი ურთადაც ამ ახალ საქმისაკენ მიამართვის; მაშინვე კომისიები, კრებები, სჯა-ბასი და აზრთა შეჯახება დაიწყება. უცნაურად უთუოთ იფიქრებს: აი, ეს არის საქმე თავის კალაპოტში ჩადგა და მის ნაყოფს მალე დაინახავთ, მაგრამ... ქართველები, ცოტა არ იყოს, ენტუზიასტები ვართ; ეს თვისება, რასაკვირველია. საძრახისი არ არის, წინააღმდეგ—საქობა, და ჩვენც საქმე-სადიდებულნი მაშინ ვიქნებოდით, რომ ამ თვისებასთან ერთად სიღინჯე და ენერჯია გვქონებოდა. დაწყებით უფლისთვეს ვიწყებთ და გათავისებულად ვერ ვათავებთ... ვშიშობ, ესე არ მოუვიდეს „ღარიბ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას“. შიში მით უფრო მეტატება, რომ ვინც, თუ რა დიდი და უსაჭიროესი საქმეა სტუდენტთა დახმარება. სტუდენტთა გაჭირვებული მდგომარეობა უკვლამ იცის, ეს დიდ ღაპარაკს და განმარტებას არ მოითხოვს.

მე აქ არ შევალ იმის განხილვაში, თუ როგორი ორგანიზაცია უნდა მიიღოს ახლამ „საზოგადოებამ“, მხოლოდ ჩემის მხრით ერთ აზრს გამოვთქვამ: ღარიბ სტუდენტს „საზოგადოება“ ისე არ უნდა დაეხმაროს, თუ რომ წინდაწინ ის არ შეუკითხავ იმ უნივერსიტეტის სტუდენტებს, სადაც ღარიბი სტუდენტი სწავლობს. ამხანაგებმა უფრო კარგათ იციან—ვის უჭირს მართლაც. ამით „საზოგადოებას“ შეუძლიან აიცილონ თავიდან ის ხრიკები, ჰროტეკტიები და ინტრიგები, რომელიც საზოგადოათ საქველ-მოქმედო დაწესებულებას თანდაყოლილ თვისებად გაჰხდომია. საიდგან უნდა შეგროვდეს ის თანხა, ურამდლისდაც „საზოგადოება“ ვერ იმოქმედებს და მარტო ცარიელ სიტყვათ დარჩება? მე დავასახელებ შემდეგ წყაროებს: 1) კერძო შემოწირულებანი; 2) სადამოებიდგან, კონცერტებიდგან და წარ-

*) ბ. მკერვალიშვილი იყო გამგე ბიბლიოთეკისა პირველათ, როცა იგი დაარსეს.

მოდგებებიდან შემოსული ფული; 3) „საზოგადოებამ“ უნდა იკისროს იმ ვალის აღება, რომელიც ჩვენს ვაჟბატონებს მართვით ქართველი სტუდენტებისა და ჯერაც არ უნებებიათ გადახდა. ამ ვაჟბატონების სიას და ვალის რადენობას ქართველი სტუდენტები, რა თქმა უნდა, პირველ მოთხოვნისთვის თავსავე წარუდგენს „საზოგადოებას“. თუ „საზოგადოება“ ამ ფულის აღების საშუალებას გამოიგონებს, დიდი საქმე იქნება; საზოგადო ვალი რამდენიმე ათას თუმანადის შედგება. მარტო მოსკოვის ქართველ სტუდენტობას აქვს ახლამ 12 ათასი მანეთი; 4) ქაჯაქებმა თავიანთი მხრით წვლილი უნდა გაიდონ; 5) სხვადასხვა ბანკებმა შეიძლება წლიური გადასახადი; 6) სათავადაზნაურო ბანკებმა ქუთაისისა და თფილისისამ, მეტადრე უკანასკნელმა, როგორც უფრო მდიდარი და დახმარება აღმოუჩინონ.

ვისურვებ, რომ ახლს „საზოგადოებას“ ფეხი მკრათ მოეკიდოს და ქართველ საზოგადოებას ის ურთადაც და ინტერესი, რომელიც ახლს, თავში ეტყობა, ბოლშევიკის შეჩვენდეს.

Studiosus.

მოსკოვი, 13 იანვარს.

რუსეთის სემოვრება.

შინდინდიის გენერალ-გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, რომ თინდინდიის უფრო დიდ ცენტრებში დაარსდეს მუდმივი რუსული წიგნთ-საცვა-სამკითხველოები, ხალხ სხვა ადგილებში-გი მოძრავი წიგნთ-საცვა.

— სახალხო განათლების სამინისტროსთან შემდგომად კომისიამ სასურველათ იცნო მისიზის მომავალ სამოსწავლო წლიდან ეგზამენები საშუალო სასწავლებლებში.

— გაზეთების სიტყვით, სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს დაარსოს ციმბირში კიდევ ერთი უმაღლესი სასწავლებელი.

— სულ მოკლე ხანში საბოლოოთ გადაწყდება სახელისნო ინსპექციის დაარსების საქმე. როგორც ისმის, თავდაპირველათ ეს ინსპექცია მოქმედებს დაიწყებს პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში და ოდესში, ხალხ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გავრცელებულ იქნება მთელ რუსეთში.

— სახალხო განათლების სამინისტრო ამ მოკლე ხანში განიხილავს კითხვას იმის შესახებ, მიეცეთ თუ არა უფლება რეალურ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულთ შევიდენ უნივერსიტეტში ძველ ენებში ეგზამენის მოუხდელათ.

— დაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ განცხადებათა ცენზურის წესები შეცვლილ იქმნას და პოლიციური ცენზურის მაგიერათ განსაკუთრებული ცენზურები იქმნას დაეწებულნი.

— სახალხო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს დაარსოს შორეულ აღმოსავლეთში საშუალო სავაჟო და საქალბო სასწავლებლები.

ს ა მ ლ ვ ა რ ე ა რ ე თ.

ნაგლისი. ინგლისის ეგვლა გაზეთები, განურჩევლად მართვლებისა, ერთხმათ აღიარებენ, რომ ვიქტორიას მეფობა იყო ხანა ინგლისის ჰროგრესისა უფველ მხრივ და აქებენ მას, როგორც მაგალითს საკანსტიტუციო დედოფლისა. ზოგიერთი გაზეთის სიტყვით, დედოფლის სიკვდილის შემდეგ სამინისტროშიაც და პარლამენტშიაც უფველგვარი ცვლილება მოხდება. არ ხაკლებ თანაგრძობით მიეგებენ ინგლისის დედოფლის სიკვდილს საფრანკეთის ეგვლა გაზეთები, კარდა ნაციონალისტთა



არგანობის. „Temps“-ის სიტყვით, თავი და თავი მიზეზი ვიქტორიას გარდაცვალებისა იყო ტრანსვალთან ომი, რომლის ამბები დედოფალზე ცუდით მოქმედებენ და რომლის წინააღმდეგი იყო ის მუდამ! დიდი მწუხარებით მიეკუთვნებინა ინგლისის დედოფლის გარდაცვალებას თითქმის უველა სხეულმწიფობი და მათი მთავრობის. ასე წარმოდგინეთ, თვით ბურჟუაზია, როგორც ერთი ინგლისური კონგრესიონალი იუწყება, უცხოელებს თანაგრძობის უცხადებენ ვიქტორიას სიკვდილის გამო! დედოფლის დასაფლავება მხნდა იმ წესით, როგორც დაუბარებია თვით დედოფალს, რომელსაც უბრალდო წვრილმანინჯი არ დაუწევია. სხვათა შორის, თვით ვიქტორიას სურვილი უფიქვანა, რომ ის სამხედრო ჰატოვით გაეყვანებოდა. ამ სურვილს განსვენებული იმით თურმე ასბუთებდა, რომ ის სსლდობისა და მთავარი ჯარის ქალი იყო. ის დაკრძალეს ვინძორში.

საზრანგობით. ვაღდეკარუსის კანონ-პროექტმა სსრციაციებისა და კანგრეგაციების შესახებ, როგორც მსსლდობელი იყო, დიდი კამათი გამოიწვია ზარლამენტში და, არაფინ იცის, რამდენ დროს მითხროვს მისი განხილვა, რადგან შესაძლებელია, რომ იმან ადგომამდე გასტანოს, რომ სსლდობი დილაობითაც გაიმართოს. ვინაიდან უველა ორატორთა სიტყვების მოყვანა აქ შეუძლებელია, ამიტომ ადვინაწავთ ჯერ ერთი ორატორის ბრძანის აზრს. ამ ორატორმა უკიჟინა კანგრეგაციებს—კანონს არ ემორჩილება. მან სსრციკი კრიტიკის ცხრილში გაატარა ის სსშუალება, რა სსშუალებითაც კანგრეგაციებს თავიანთი ქონება შეუძინათ. მათ უძრავ ქონებას ის აფასებს ერთ მილიარდათ, ხოლო მოძრავს—ათ მილიარდათ და დასსრულ მითხროვს, რომ ნებადურთველ კანგრეგაციების ქონება მხმარებულ იქმნას მუშათათვის სსშენისა კასების დასსარსებლათ. მაგრამ, სსმწუხარათ, როგორც დემოკრატიული პრესის ერთი ნაწილი ამტკიცებს, ამ კანგრეგაციების ქონების გამოყენება შეუძლებელია, რადგან ზოგიერთ მთგანს თავისი თანხა კერძო პირთა სსსელზე აქვთ შესსრული, ზოგი-კი ამის შემდეგ მიმართავს ამავე ვგარ სსშუალებას, სსნამ კანონ-პროექტის განხილვა გათავალებდეს.

— ლიონში მუშაობა აკვითა და კაიფიცია 800 პურის-მცხობელი მუშა. მხნსო-ლე-მინში, მთა-მანდის მუშებს გარდა, კაიფიცია გამოაცხადა 8,000 მუშა ფეიქარმა. ზარეში კიდევ იფიცების შეეტლები. მუშათა ზარტიის რამდენამე წარმომადგენელმა შეიტანა დეპუტატთა ზალატაში შემდეგი შინაარსის კანონ-პროექტი: აკრძალულ იქმნას ამუშაობა სსვები უსსსიდელოდ და გამოართვან მათ თავიანთ სსსარგებლათ პირდაპირ ან არა პირდაპირ, მთლათ ან ნაწილათ ის სსსუქრები, რომლებსაც თავისი ნებით აძლევენ მათ მუშტრები. კანონ-პროექტის ავტორებს ჩამოთვლილი აქვთ ის ადგილები, სსდაც მსსმსსურენი სსსუქრებს იღებენ: უვა-ხანები, რესტორანები, სსსტუმრები, კლუბები, სსპარკამსერობები, თეატრები, მუზეუმები, და სს... ხოლო ადები ამათ ადებული ფულის ერთ ნაწილს ართმევენ.

გერმანია. კანცლერმა ბიულოფმა პრუსიის ზარლამენტში გადაჭრით განაცხადა, რომ მთავრობა სსმუერნეო ნაწარმებზე ბაჟების მომატების ზოლიტიკას ადგია. ბისმარკს შერე ეს პირველი კანცლერია აგრარიეთთა ასე აშკარა მომხრე. ლიბერალთა და მუშათა ორგანობები დიდ სსმურობაშია ამის შესახებ. არაფინ იცის, რეხსტაგი რას მოიმოქმედებს. გაზეთები ბიულოფს უწოდებენ „აგრარიულ კანცლერს“.

— დეპუტატთა ზალატამ, როგორც დეპუტა იუწყება, შეიწყნარა ბაჟების მომატება ხორბალზე, სსხელოდობრ ქერზე და შერიაზე.

— ცხობილ ედ. ბენშტეინს, რომელმაც მთელი ევროპა ააღაზარა თავისი კრიტიკული წერილებით მარქსიზმის შესახებ და რომელიც ეს 20 წელიწადია, რაც სსშობლოდან გაძვებულ იქმნა, უფლებს მიეტა გერმანიაში დაბრუნებისა. ლაზარაკი არ უნდა, რომ დღეის იქით ამ მწერალს აღარაფინ დაუწეებს დევნას, რადგან ამ ვამათ ის სულ სსგა აზრებს ქადაგობს, ვინემ ამ 15—20 წლის წინათ; სსხელოდობრ ის ქადაგობს ზომიერებას და მშვიდობის პრაქტიკულ მოქმედებას მუშათა მოძრაობაში და არა მუშათა ბრძოლას პოლიტიკურ ნიადაგზე.

ავსტრია. ავსტრიის ზარლამენტის არჩევანი დასრულდა. ზარტიათა განყოფილებებში მხნდა შემდეგი ცვლილება: ვენაში და ვენის ასლო-მსლო წინათ გამარჯვებულმა ანტი-სემიტებმა (კლერიკლები) დაჭკარგეს რამდენიმე ადგილი და სოციალ-დემოკრატებმა შეიძინეს. ასე, რომ თვით ავსტრიაში კლერიკალთა ძალა მომხრეობას ფრთები შეკვეცა. კალიციაში დამარცხდა სოციალისტთა და რადიკალთა ზარტია და კამარჯვებს კონსერვატორებმა, კერედ წოდებულმა „ზოლონელთა კლუბმა“. ეს გამარჯვება ზოლიციელთა და მოხელოთა ძალ-დატანებით მხნდა და კალიციის სსლხის სულის კვეთებას ვერ ხსტავს. ჩეხიაში ცხობილი ასსლ-ჩეხთა ზარტია დაირღვა, მას მოსცილდა მარცხენა და მარჯვენა ნაწილები. პირველი შეიცავს ჩეხიის ნაციონალურ მუშათა ზარტიას, ხოლო მეორე—კლერიკალთა ზარტიას და ჩეხიის აგრარიებს. სსმივემ შეიძინა 13 ადგილი; კანსაკუთრებით პირველი გამოვიდა გამარჯვებული, მან ზოგი ადგილი ასსლ-ჩეხთა ზარტიას წართვა და ზოგიც სოციალ-დემოკრატებს. სსზოგადოთ, ავსტრიის და ჩეხიის არჩევნებმა გააძლიერა რადიკალური ელემენტი და შესსრულა კონსერვატიული და კლერიკალური. ხოლო კალიციაში-კი რადიკალური ელემენტი შესსრულდა და კონსერვატორები გამარჯვდნ.


პოლონია. მუშათა ზარტიის მეთაურმა ვანდერველდმა აშხანაგებთან ერთათ დეპუტატთა ზალატაში წინადადება შეიტანა—ქალებსაც მიეტო ადვოკატობის უფლება.

— ქ. ზანდში მხნდა სოციალისტთ-ქალთა კანგრესი, რომელსაც აზრათ ჰქნდა, რომ ქალებმა ცხველი პრეზანდა გამოართონ მილიტარიზმის წინააღმდეგ. ორატორ-ქალთა ფოლკარტისა და კატი-დე-გამონდის აზრით, ქალები სსთავეში უნდა უდგენ იმ მოძრაობას, რომლის მიზანია სსლხთა მშვიდობიანი განვითარება.

ღანია. ღანიის ზარლამენტმა (ლანდსტაგმა) შეიწყნარა კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ შემოდებულ იქმნას დასურული კენჭის ურ ზარლამენტის დეპუტატთა არჩევნების დროს. ეს კანონი, როგორც ისმის, გამოყენებულ იქმნება მომავალ არჩევნების დროს.

ამერიკა. დემოკრატთა ზარტიამ დაჭკარგა თავისი მეთაური: ჩიკაგოში მომავალ ბანკეტზე ბრაიანმა განაცხადა, რომ ის ამის შემდეგ აღარ გამოავ პრეზიდენტის კანდიდატათ.

ავსტრალია. 1901 წლის 1-ლ იანვრიდან ინგლისის ასსლშენებს ავსტრალიაში დამოუკიდებელ რესპუბლიკის უფლებები მიენიჭათ. ამ რესპუბლიკას დღეის იქით განაგებს ისეთი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომლის მგზავსი სსგაგან არსად მოიძებნება. ინგლისის მმართველობას სრულიად ეკვეცება ფრთები და მხოლოთ სსხელით რჩება. უველა ამ ასსლშენებს ექნებათ სსკუთარი ზარლამენტი, მათ მიეტათ იმის უფლება, რომ დაწესონ ბაჟი და გადასსხადები, განაგონ სსგაგარა სსქმეები, ჯარები, ფოსტები, ტელეგრაფი, დაუდგან სსგა ქვეყნებს სსვარტო ხელ-შეკრულობანი და სს. ინგლისმა ამით მუტათ დიდი მაგალითი მისცა ქვეყნას. არც ერთი სსხეულმწიფოს ასსლშენს



ისეთი თავისუფლება არა აქვს, როგორც ახლა ავსტრალიას აქვს.

ინგლის-ბრანსვალის ომი. რაც დრო გადის, ბურების სიმამაცე სულ უფრო მატულობს. მათ, როგორც ნიდერლანდის ადგილობრივი ელჩი იუწყება, კარმეობაზე სულ უწყობს ამასი. მათი იარაღები და ურეკლავარი საომარი მოწყობილება, იმავე ელჩის სიტყვით, სკამარისა რამდენიმე წლის ომისთვის. მისი აზრით, ინგლისი ვერანაღეს ვერ დაიხურებს ბურებს. ალბათ კიდევ ამიტომ ბურები ასე წინააღმდეგნი არიან ზავის შესახებ მოლაპარაკებისა. კიდევ ამიტომ ბურთა გენერალს, ბატონს, როგორც 20 იანვრის დეპუტატებმა გვატყობინეს, განუცხადებია ტრანსვალის ზრეზიდენტთან სამეფოს ზრეტორიუსისათვის, რომელმაც ის ინახულა, ამოდ ცდილობს ზავის ჩამოგდებაზე მოლაპარაკებასა, და წინადადება მიუცია მორეკორდ ადარ ჩამომიგდო მსგავსე ღანჯაკი. ამას გარდა, დეკეტის ბრძანებით 15 იანვარს დახურულ იქმნა ანდრეს გესელის, რომელიც სამშვიდობო კომისიას ახლად მორგენდალში. ალბათ, ბურებს გადაუწყვეტიათ, მანამდე არ ჩამოგდონ ზავი, სანამ ინგლისელთ უკიდურეს მდგომარეობაში არ ჩაყენებენ და იარაღს არ დაურეკებენ. მათ სისასტიკეს საზღვარი არა აქვს, ისე ახერგენ და ახერგებენ ვეულისა, რაც-კი ინგლისელთ ეკუთვნით. ამას წინათ მათ მუტათ სავაძნობელი ზარალი მათქმეს ინგლისელთ მდებარეობის და ვანრის მდებარეობა შესეგათ, სადაც მრავალი მამინა გააფუჭეს: ზარალი თურმე 300,000 სტერლინგს უდრის. ამას გარდა, ბრანსვალში და რანდში მათ დახურეს ელექტრონის სადგურები, რომელნიც ძაღს და სინათლეს აწვდიდნენ მდებარეს, რის გამოც მდებარეობა მთლად დახურულა და შიგ მუშაობა შესწყდა. 16 იანვარს ბურებს შეტაკება ჰქონდათ ინგლისელებთან. ჯერ ველკომის სამხრეთით, სადაც ომმა რამდენსამე საათს გასტანა, და შემდეგ მდ. ვალკეს ხეობაში. ორივე ომში როგორც ბურებს, ისე ინგლისელთ სულ რამდენიმე კაცი მოუკვდათ და დაეჭრათ. 22 იანვრის დეპუტატმა იუწყება, რომ 1400 ბური თავს დაესხა ინგლისელთა ჯარს გასრანდათს, მკრამ უკუქცეულ იქნენ დაზარალებით. ომი მოხდა აკრეთვე კლინტონტონთან, სადაც მან 5 საათს გასტანა. აქც ბურებმა უკან დაიხიეს. მკრამ თუ ამ ომებში ბურებს ვერათური გაუწყვიათ-რა, სამაგიეროდ სისხელიდან დაუმარცხებიათ მათ ინგლისელები ღინდლისთან. აქ გენერალ ბატონს ჯარს ხეობაში შეუმწყვდევია კიტხენრის ჯარი და მთლად გაუქვლიათ.

ჩინეთი. ჩინეთის საქმეები, როგორც მთელი დროით, სულ უფრო იწვევს. როგორც სინანთუდის მანდარინები იუწყებიან, ჩინეთის დედოფალი უკვე იმის სინახულს შესდგომია, ასე მალე ხელი რათ მოვაწერე ზავის ხირობებს. ის თურმე ადარ იკრებს თავის ზომიერ კარის-კაცთა რჩევებს. ლუჩუნ-ლიუს უთქვამს, რომ თუმცა სხელმწიფოთ დაჭერილი აქვთ ზეკინი, მკრამ ისინი მაინც ვერ ვკაიძულებენ ზავის ხირობების მიღებას. გარდა ამისა ამ ბოლო დროს ჩინეთში აქა-იქ ისევე აჯანყება ჩნდება. ჩინელები თავს ესმინან და ხოცავენ ქრისტიანებს, ჩნდებიან ახლ-ახალი სექტები ეგრეობილთა წინააღმდეგ. ამასთან ჩინელთა ჯარებიც თან-და-თან ისევე მოძრაობაში მოდიან და საომრათ ემზადებიან. ჩინელებისთვის მხლობდათ თავი მოუყრია 25,000 ჯარის-კაცს. უოკელივე ეს იწვევს უცხოელთაგან სხმედრო ექნებულებების გავსახსნს და იმ შიშს, რომ მოლაპარაკება ზავის შესახებ დიდ-ხნს გაგრძელდება.

სოფლის გმირები*)

მოთხრობა ეგ. ნინოშვილის I.

მთავადი მანუჩარ არწივამე თითქმის ორმოცდაათის წლის კაცი ბძანდება. მის მელონივით შავს, ხშირს, ხუჭუქს თმასა და წვერში საკმაოდ გამოერია ქალარა. მაგრამ მედიდური-მწყრომარე სახე, ბრძანების გამომეტყველო დიდრონი თვალები და არწივის ცხვირისებურად მოყვანილი ცხვირი მაინც ამხელს მანუჩარში ძველი ქართველი არისტოკრატის ტიპს. კარგი სანახავია მანუჩარ მეტადრე, როცა თავის იისფერ ატლასის ახალუბში დაღვინისფერ თივთივის ჩოხაში გამოეწყობა, რა თქმა უნდა, ხმლითა და ხანჯლით. მისი განიერი ბეჭები და წერწეტი წელი ისე კობხად მოჩანს ამ დროს, რომ ბევრი თავადის ქალს ასტოკებია გული მის დანახვაზე. ამას მივუმატოთ ისიც, რომ თავადი მანუჩარ ძლიერ კარგი მომღერალია, ძლიერ კარგად უკრავს ქიანურზე და ჩონგურზე, თვალის წამტაცად თამაშობს ლეკურს. სიმობხცემ ვერ ააღებინა ჯერ ხელი ამავებზე. რუსული-კი, გარდა ცოტაოდენი ლაპარაკისა, არა იცის რა, რადგანაც გიმნაზიის პირველი კლასიდანვე დაითხოვეს მასწავლებლის გალახვისათვის. სამაგიეროდ ქართულად ძლიერ ნაკითხია, არ მგონია, მოიბოებოდეს ისეთი წიგნი ქართულს, მეტადრე ძველს მწერლობაში, რომ თავადს მანუჩარს რამდენიმეჯერ არ წაეკითხოს და მისი შინაარსის თითქმის ყველა შესანიშნავი ადგილები არ გაეზებინებოდეს. ჩვენი საქართველოს ისტორია ხომ რა, თუ-კი რამ მოიბოებოდა ამის შესახებ დაწერილი, სულ ყველა "მამაო ჩვენო-სავით" აქვს დასწავლული და რაც მწერლობაში არ მოიბოებოდა, ის-კი თავის დედისაგან ნამობი ზებირ გადმოცემებით შეეცო. მაგრამ ყველაზე უკეთესად თავადმა მანუჩარმა საღვთო წერილი იცის,—ამაზე იყო ბავშობიდანვე, მისი ქიპი მიჭრილი.

ახლანდელი წესები არ მოსწონს მანუჩარს. ის მისტირის წინაპართ ცხოვრებას და მაშინდელს წესებს. განსაკუთრებით უკმაყოფილოა მანუჩარ ბატონ-ყმობის დარღვევაზე. მართალია, ბატონ-ყმობის მოსპობის დროს მანუჩარ ყმაწვილი კაცი იყო და, სხვების მიხედვით, ისიც ტაშს უკრავდა, რაც შეეძლო, ახალს ცვლილებას. მაგრამ შემდეგ, როცა აუარებელი გოგო-ბიჭები თავიანთ ოჯახებში წავიდნენ და თავადი არწივადის სასახლე თითქმის მიყრუვდა, თავად მანუჩარს დაუსევდიანდა გული. მეტადრე, როცა მანუჩარის მამამ, ბეგლარმა, ველარ აიტანა ბატონ-ყმობის მოსპობისაგან გამოწვეული ჯავრი და ყმების გაკლისთანავე გადაიცვალა. „მეფედ დაბადებული ჩემი ყმის ტოლათ ვცვდებო (არწივადენი მთავრები იყ-

*) ეგნატე ნინოშვილს დარჩა მრავალი ხელნაწერები; ამათში უმთავრესათ დაუსრულებელი მოთხრობები და სურათები. დასრულებულია ორი: აი ეს „სოფლის გმირები“, რომელსაც მეორე სახელათ „პატარა სურათი“ აწერია, და ერთი დიდი ისტორიული რომანი „სამწუხარო შედეგი“. ყველა ეს ჩვენ იმდენათ საინტერესო მიგვაჩნია, რომ გადავწყვიტეთ „კვალში“ დავებუდეთ. „სოფლის გმირები“ კარანდავით არის დაწერილი, როგორც ჩანს, შავია და არც გადაწერილია. სათაურიდან ეტყობა, რომ ავტორს სურებია ამ სათაურით რამდენიმე სურათი დაეწერა, მაგრამ ველარ მოასწრო. დაუთავებია მხოლოდ ეს ერთი სურათი. ვებედავთ ისე, როგორც არის, ერთ სიტყვასაც არ ვცვლით რედ.



ვენ ძველ დროში). თავადმა მანუჩარმა დაიწყო საჩივარი დროთა უსამართლობაზე: „ეს არაა რიგი და წესი, ჩემი წინაპარი მეფეს უწევდა ტოლობას და ახლა ჩემი შინაყმის შვილი ჩემ გვერდით დაჯდომას აპირობს! ამას წინათ ერთმა ნასწავლმა კნენინამ სადილოდ მიმიწვია. დავჯექი თუ არა, ვილაც სერთუკიანი მომიჯინეს გვერდში. შევხედე, ბიჭოს, დიდი კაცის არა სცხია-რა, გლენი, ნამდვილი გლენი მიდგა თვალწინ! მასპინძელმა გამაცნო, პალიტოიანმა გამომიწოდა ხელი ჩამოსართმევად. რომელი თავადის შვილი ბძანდები მეტქინ ვკითხე.—თავადი არა, გლენკაცი შვილია, მაგრამ ნასწავლი კაცია, განათლებულია,—მიპასუხა კნენინამ. ფიე, ბიჭოს, მამაჩემს თავადები მოსამსახურებთ აღგებოდა თავზე და მე გლენკაცის შვილს გვერდში მისვამთ, აგი რა ნამუსია-მეტქინ ვთქვი, ავდექი, მივუტყე მისი სადილი და წამოვედი შინ. ეს-კი ვუთხარ წამოსვლის დროს კნენინას: გახსოვდეს, გლენი უნამუსოა, დღეს თუ ნახევარი სკამი უთავაზე, ხვალ მთელს მოინდომებს და თითონ შენ სკამიდან გადაგადებს. ამაზე მეტი რაღა უნდა გითხრა ქალო-მეტქინ და გამოვედი კარში“.

რაც უფრო მოხუცდა, მით უფრო სასტიკი და მოუთმენელი შეიქნა თავადი მანუჩარ ზნეობა-ჩვეულების შესახებ. იმ კრებაში, სადაც თავადი მანუჩარ ბძანდება, ვერც ერთი გლენი, ვინც უნდა იყოს,—ნასწავლი, მწერალი, პოეტი, სულ ერთია,—რომლის მამა შინაყმად ყოფილა თავადი არწივადის, ან მისი აზნაურის, ისე ვერ მივა, რომ მანუჩარს თავზე არ მოუხადოს და მძიმედ თავი არ დაუკრას. ვინიცობაა, გლენკაცის შვილმა თავადი მანუჩარისაგან მოწონებული ჩვეულებები არ აღასრულა, ესე იგი მძიმედ თავი არ დაუკრა მანუჩარს და მის ახლო მყოფს თავდაზნაურობას, დაჯდა იმ დროს, როცა მანუჩარ ფეხზე დგას, ან არ წამოდგა ზეზე, როცა მანუჩარ აბძანდება და სხვა მისთანები, მანუჩარ სწრაფად იკითხავს: „ვინ არის ის კაცი?“ მის ახლო მყოფი თავდაზნაურობა მოახსენებს დამნაშავეს ვინაობას. მაშინ თავადი დაიბარებს დამნაშავეს და ხელ ახლავ ეკითხება: „ვინ ხარ, ბიჭო, შენ?“—ესა და ესო, ეუბნება პასუხად.—მერე მთავრი შვილი, ამდენი თავდაზნაურობა აქა ვართ და შენ არც სალაში მოგვახსენე, არც რა, ისე წადი და დაჯექ! გეტყობა, სალორეში გახდილხარ ამოდენა კაცი!“ თუ თავმოყვარე ვინმე შეხვდა და თავადს ამ ლანძღვაზე ხმა შეუბრუნა, მაშინ-კი თავადი მეტად განროსხდება, იშიშვლებს ხანჯალს და ამბობს: „ავკუწავ ამ გლახა ძაღლის ლეკვს! ყუფასაც რომ მიხედავს!“ თავდაზნაურობა ეხვევა და ეხვეწება: „ნუ იკადრებ, ბატონო, უგუნურობით მოუვიდა! იმაზე ხელის გასვრა რა თქვენი საქმეა!“ და სხვა. თავადის მოპირდაპირეს-კი ძალით ნებით, წამსვე გააქანებენ სადღაც სიტყვა-უთქმელად. ან რა ხერი დაეყრება, რომ თავადი მანუჩარის ხანჯალს პირდაპირ გაუჩერდეს! მანუჩარს სისწრაფეში იშვიათად ვინმე შეეძაროს!

სასტიკად სდევნის კიდევ თავადი მანუჩარ მარხვის შემშლელთ; იშვიათად, რომ იმ კრებიდან, სადაც თავადი მანუჩარ იმყოფება, მარხვის შემშლელი, თუ ის გლენკაცის შვილია, გაულანძღველი გამოვიდეს. თითონ თავადი მანუჩარ-კი არაფლის გულისთვის არ შეშლის მარხვას. მანუჩარს თავის ზნეობრივ მოვალეობად მიაჩნია

გაავრცელოს ხალხში კეთილი ზნეობა, რომელიც მისი ფიქრით მდგომარეობს შემდეგში: უსაძღვრო მორჩილება გლენთაგან დიდრონი გვარის პირებთ და უფროსებთ წინაშე, უსაზღვრო მორჩილება ყმაწვილ კაცთაგან ხანში შესულის წინაშე, უსაზღვრო მორჩილება კოლეებიდან ქმრების წინაშე, უქმე დღეს ეკლესიაზე სიარული, უქმეების და მარხვების შეუშლელი, გლენთათვის მოუსვენარი შრომა, ძველებური ტანისამოსების ხელ-ახლავ შემოღობა და სხვა მისთანები. ამასთან გლენთათვის სწავლავანათლებას სრულიად მეტად და თითქმის მანუჩარად თვლის თავადი მანუჩარ. თავისი აზრის დასამტკიცებლად თავადს მოჰყავს ტექსტები ხან რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, ხან საღვთო წერილებიდან და ხან სხვა ძველი წიგნებიდან. მეტადრე ხშირად იმეორებს „ვეფხისტყაოსნიდან“ ამ სიტყვებს: „სჯობს ყოველთა მოყვარულთა პატრონ ყმანი მოყვარულნი“ და ვილაცას გამოთქმულს შაირს:

„დროსა შევესწავრ ასეთს,
 გუფს ცეცხლი გამოვარესდა,
 აღმასით სჭედენ ვირებს,
 აკრავენ თქმას ნალებს,
 ბეაურ ცხენებს კურტანს ქვეშ
 სცვეთენ, ვინ შეიბრადებს!“

თავადი მანუჩარი ასე ხსნის ამ შაირის შინაარსს: ვირები გლენკაცობაა, აღმასი—თავისუფლება, ბეაურები—თავდაზნაურობა, კურტანს ქვეშ გაცვეთა—თავდაზნაურობის უშინაყმოდ ცხოვრება.

მართლაც, რომ ცუდათ მიდის თავადი მანუჩარის სიცოცხლე უშინაყმოდ. მართალია, მანუჩარს კარგი მამული ხედა წილად, როცა გაეყო თავის დებსა და ძმებს, მაგრამ ახლა-კი მანუჩარის ხელში ძრიელ ცოტა დარჩენილა და ისიც-კი, რაც დარჩენია ჯერ გაუყიდელად, სრულიად უწარმოებელად ცდება. მანუჩარი აღიზარდა ბატონ-ყმობის დროს, იმ დროს, როცა გლენთა შრომის ნაყოფს არავითარი ფასი არ ედვა ბატონის თვალში, როცა ბატონები ისე საზღოობდენ ყმების შრომით, როგორც ჩვილი ბავშვი საზღოობს დედის ძუძუთი, იმ განსხვავებით, რომ დედისთვის სასიამოვნოა, როცა თავისი პაწია სწოვს, ყმებისთვის-კი აუტანელი მძიმე იყო ბატონების რჩენა, დედას როცა უნდა მაშინ აქმევს შვილს და იმდენს აქმევს, რამდენიც დედას ჰსურს, ყმებს მაშინ უნდა მიერთმიათ ბატონებისათვის, როცა ბატონები ბძანებდენ და იმდენი უნდა მიერთმიათ, რამდენიც ბატონებს ჰსურდათ. ხშირათ ბავშვი სტირის, მაგრამ სანამ დედა საქმეს არ მორჩება, არც-კი მიხედავს, რა ვუყოთ ცოტადენი მანაც მოითმინოსო, ბატონები-კი ლხინობდენ, ხოლო ყმები-კი კვნესოდენ, და სტიროდენ. ასეთ დროს აღზდილი მანუჩარი შემდეგაც ვეღარ შეეჩვია ზომიერებას—აქ უზომო ხარჯს გასწევდა, იქ ძვირფასს საჩუქარს გასცემდა, როცა რამეს ყიდულობდა, მანეთის საღირალში თუმანი რომ მოეთხოვათ, უსიტყვოთ აძლევდა და სხვა. რატომაც არ გასცემდა, ჯერ ხომ ბლომათ იყო „ნადელის“ ფულები! ნუ გეშინიათ, ხელები არ ეტკინოს მისი შეძენისათვის! მოგეხსენებათ, რომ ასეთ ცხოვრებაში რამდენიმე წლის შემდეგ თითქმის ცალიერზე დაბძანდებოდა თავადი მანუჩარ. მას დარჩა ათი-თუთხმეტიოდე „მონადელი“ გლენი და მცირეოდენი ტყე და



სახნავ-სათესი. ამას გარდა მისი მამული შეისყიდეს ზოგიერთა მდიდარმა გლეხებმა და გამოჰქიმეს ზედ კობტა სახლები. თავადი, როცა დაინახავს ამ სახლებს, მწარე ამოოხვრით იტყვის: „ჩვენი საქმე მაშინ წახდა, როცა გლეხებმა ასეთი სახლები დააკეთეს!“ მიჯვის დროს მოინდომა თავადმა მანუჩარმა—დავედავები ჩემგან გაყილულ მიწებზე გლეხებს და იქნება რამე კიდევ დავცინ-ცლოო, მაგრამ ტყუილი გამოდგა: მდიდარმა გლეხებმა თავადს მანუჩარზე უკეთ წაიყვანეს სამსჯავროში თავიანთი საქმე და მანუჩარს, როგორც იტყვიან, ჩაუვარდა კოვზი ნაცარში. მხოლოდ ლატაკს გლეხებს-კი შეართვა ხელ ახლავ თითო-ოროლა თუმანი, მაგრამ ამით რა შორს წავიდოდა!

დიდი სახლი, რომელიც იმ დროს ააშენა მანუჩარმა, როცა ფული ჩაღად არ უნდა, ღებდა ნელ-ნელა შეუკეთებლობით. ბევრგან წვიმაც ჩამოდის შიგ. მაგრამ სად არის ფული, რომ ეს უხარ-მაზარი შენობა შეაკეთოს თავადმა მანუჩარმა! თუ რამ დარჩენილა კიდევ მცირეოდენი შემოსავალი, ის სასმელ-საქმელში და ტან-სამოსშიაც უნდება მანუჩარს ცოლ-შვილით და ერთი ნაწილი მოურავს, ურომლისოდაც მანუჩარისთვის ამოსუნთქვაც-კი ძნელია.


შვილები თავადს მანუჩარს პირველი ცოლიდან არ ჰყოლია, თუმცაღა-კი კარგა ხანს ცხოვრობდნენ ცოლ-ქმარი ერთად. პირველის სიკვდილის შემდეგ მანუჩარმა მეორე ცოლი შეირთო და ხუთი შვილი შეეძინა,—ორი ქალი და სამი ვაჟი. ერთი იმათგანი გინაზიაში სწავლობს და, როგორც არის, ამ ერთს მამა აწვდენს ფულს, დანარჩენები-კი ჯერ პატარები არიან. მანუჩარის მეუღლე, ბაბინე, ინსტიტუტში გაზდილია. მაგრამ ისეთი გულ-ჩვეარი ადამიანია, რომ სრულიად დაიმონა ქმარმა, ასე მოგახსენებენ, ცრუ მორწმუნებებშიაც სრულიად ეთანხმება ცოლი ქმარსო.

ამ უკანასკნელ დროს, თავადი მანუჩარის ფიქრით, ისეთი ნიშნები სჩანს, რომ ბატონ-ყმობა ხელ-ახლავ უნდა დაბრუნდეს. ერთ ღამეს კიდევ დაესიზმრა თავადს მანუჩარს, ვითომც ბატონ-ყმობა განახლებულიყო, მისი სახლზე ძველებურად გავსებულიყო გოგო-ბიჭებით. დილას სიხარულით უამბო ეს სიზმარი თავადმა თავის კნიენას. „ღვთის წყალობით, ასრულდება, ასრულდება!“ მიულოცა კნიენამ.

როგორ უყურებს ხალხი თავადს მანუჩარს? მოხუცი თავად-აზნაურობა პატივს სცემს მას, როგორც ნამდვილს ქართველ თავადს, მოხუცი გლეხ-კაცობა, რომლებსაც კიდევ ახსოვთ ბატონ-ყმობის გემო, როცა ნახავს, ხელზე კოცნის „ბატონს“, მაგრამ სიყვარულით კი არა, შიშით. ახალ-გაზღობა-კი დასცინის, მაგრამ ისე მოხერხებულად, რომ „სკანდალი“ არ შეემთხვას მანუჩარისაგან.

15 დეკემბერი, 1893 წ.

*
*
(ვუძღვნი ნ. ა. პ-ნის ქალს).

 დაეს უფერულს ჩემს ცხოვრებას ცრემლით შევსებდით, არ მახარებდა ბუხებისა მშვენიერება,

ხალხი უგულო, მონა ვერცხლის, მისწობდა იმედს და ჯოჯოხეთად მიხნდა მოკლე ქვეყნიერება,

—
იმ დროს გიხილე და ვისმინე ტკბილი ხმა შენი! შავსა დრუბლებში დამახსხვე მზე დამღული! აშუქე სხივი გულს დაწრდილულს და გამიანთე შემამაჯალე კვტი, ზიზღი და სიძულვილი.

—
დამიდეგი სარკე ცხოვრებისა, შიგ დამახსხვე: ბრძოლა მედგარი, სიმართლეზე აშენებული, შთამბერე ძალი, მისუსტებულს; და მომაგონე ქვეყნათ არსებობს ტრფიალება და სიყვარული.

—
მას აქეთ გიძღვნი, ჩემო ტურფავ, ქებას, დიდებს, მას აქეთა ვარ შენი წრფელი თაყვან მტკეპელი! მეტი არ ძალმიძს სიღარბით, და ჩემს ნორჩ გულს გრძობით მოგიძღვნი, არ მიმტყუნებს მენდვე რამელი.
კატო მიქელაძე.

ჩ ვ ე ნ ი ს ს ი მ ბ ბ.

„იანიჩარი“ ხუთ მოქმედ. დრამა ლექსათ დ. ნახუცრი-შვილისა.

25 ამ თვეს ქართულ თეატრში ბ. ბ. გამურელიძისა და კანდელაკის საბუნებისათ წარმოდგენილ იქმნა დ. ნახუცრი-შვილის ზიეს „იანიჩარი“. „იანიჩარი“ დრამატ. საზოგ. გამკეთებამ მოიწონა შარშან და ავტორი დააჯილდოვა ათი თუმნის ზრემით. ამისათვის უგულა მოკლდა, რომ რაღაც ფარსავი არ უნდა იყოს და, როგორც ყოველთვის, ეს გაზვიადებული ლაღინი ვერ გამართდა. ზიეს სცენაზე დრამას კი არა, უბრალო ლაზარაკს გავდა და მაყურებელს აფიქრებოდა რაღაც ამბავი უნდა იყოს, მხოლოდ რა ამბავია—იმას-კი ვერ აკუბინებდა. და მერე ვინ არის ამში დამხმარე? ავტორი? არა. დამხმარეა ისინი, ვინც ეს ზიეს ასე სწინადად დასახინჩეს და სცენაზე ერთი მუსამედი წარმოგვიდგინეს. ამ დოსტაქრების მხელები განდგან ჩვენი რეჟისორი და არტისტები. ჯერ კიდევ, სანამ ზიესს წაიკითხავდნენ, არტისტები გაიძახადნენ, მაგის დადგმა ვინ გაუგონია, ლექსს ვინ დაისწავლისო. მაგრამ რადგანც დადგმა აუცილებლათ დაავადეს, აუღიათ და სული და გული გამოუშვიათ. ჩვენ ხელთ გვქონდა ამ ზიესის სრული დედანი და ამით წარმოდგენას თვალ-უურს ვადევნებდით. და სწორედ ერთი ნახევარი თუ ცოტა მეტი გვაჩვენეს სცენაზე. დანარჩენისთვის საზი გასვათ. და მერე ასეთი ზიესის „შემოკლება“ შეიძლება? ჩვენს მწერლობაში მე არ ვიცი ისეთი ზიესა, რომელიც ლაღიკურათ და მსინალოგიურათ ისე მხეწებულათ იყოს აკინძული, როგორც „იანიჩარია“. აქედან ვერც ერთ სცენას ვერ გამოარჩხავთ, რომ მოკლე ზიესს არ დაეცოყოს. მსინალოგიური ძაფები ისე ხელ-ნელა იხვევება და იშლება, რომ გამოსატყვეველ ადგილსაც ვერ იშვავით. და აი, უგულა ეს ამოუღიათ ჩვენს დოსტაქრებს და მხოლოდ ჩინჩინი დაუტოვებიათ. თუ მისი დადგმა სცენიურათ მოუხერხებელი იყო—მაშინ ჯობდა სულ არ დაეცათ.

—
ზიესის შინაარსი შემდეგია: საშუალო საუკუნეებში კახეთში შემოდის ოსმალეთის ჯარი და თელავს აიღებენ. ჯარს თან ახლავს სახელგანთი რაზმი იანიჩართა, რომელსაც მეთაურობს ასლანი (მესხიშვილი). ეს რაზმი შედგება სხვა-დასხვა თავსებულ ხელ-აღებულ მხედრებისაგან. ამ ხელგანთისთვის ყოველ-



კუთხიდან კრებდნენ ბავშვებს და ამზადებდნენ. ასე, რომ იანიხარმა არ იცოდა სადაური იყო, ვისი შვილი და სხ. ვახუშტი მისუდი იანიხრებიც ასეთები იყვნენ. იანიხართა რაჟმს შეთაურბდა აგრეთვე ისკანდერი (ხეობნიძე). ამხალთი ჩაყენებულა მთელს ქალაქში, ხოლო შეთაურები-კი თავადების ოჯახებში დგანან. ასლანი დგას თავად ჯიშურისას (გამურელიძე), რომლის მშენიერი ქალი, ნინო (კარგანთელისა) ერთიანთ დამიხებს მას, მაგრამ ნინო მას განცნეს, როგორც ჯიშურის ხათვისა ქალი და არა როგორც მისი შვილი. ის შეუყვარდებო ნინოსაც და როცა ერთმანეთს შეხვდებოდა და ასლანს სიყვარულს უცხადებდნენ—ნინო მრისხნით დახვდებოდა: „შე ურჯულოს სიყვარულად არ მიხდამ, და დახეიჯდა ასლანს დახით მივარდებო, მაგრამ უკან იხევეს და დრკება. ასლანს კეთილება: შენ ვინა ხარ, სადაური ხარ, ვინა ხედი მისისხლე მტერის შეყვარება შემიძლიანა? აქ, რასაკვირვებია, ნინო სტყუის, მაგრამ იმდენ სიმამაცეს იხენს, რომ თავის გულის ნადებს არ ამუდავებს. ასლანზე ეს სიტყვები დრმა გაწყენს იქნებებს. მართლაც, თუქრბოს ის, შე სადაური ვარო, აი მისი მინდობის ნაწილი: „თუ შენ იმდენი

„ხეტავ ვინდოე ამ ყოფა-ბედში...
 რა შემთხვევისა წყალობითა ვარ, ხოლო იმისი შეპ...
 ან ვინა მშობა, სად დავიბადე, 1881 კოლხეთი...
 გადმოვარდნილი რომელ მხრითა ვარ? თუ იმდენი...
 ხუ თუ არ შეყვანდა მშობელი დედა, მართლმ...
 რომელიც აკვანს ხანით მიწვედა? თუ უკან...
 ან მამანეში რა გაცი იყო, თუ რომელი იმდენი...
 რომ შვილსა ომად ასე სტოვებდა? თუ იმდენი...
 ან არა მქონდა ხუ თუ სამშობლო, რომელი...
 თავსუდ უმეტეს ტკიბილ საყვარელი? თუ იმდენი...
 რა ვარ ტიპლი უდედ-მამოდა, თუ იმდენი...
 ან უმამულოდ ბუდის მიქნელი? თუ იმდენი...
 მშობელთ არ ცოდნას ვანი გაუძღვებს, თუ იმდენი...
 თუმც მისსამეხათ სახარულია, თუ იმდენი...
 მაგრამ არ ცოდნა სამშობლოსი-ვი, თუ იმდენი...
 მიწამდის ვაცის დამთრგუნველია... თუ იმდენი...
 უმიწა-წყლთა ვანი რა არის? თუ იმდენი...
 სადაც-კი წახვალ, ეველა მას კეთილხარ: თუ იმდენი...
 სადაური ხარ, სად დავიბადე, თუ იმდენი...
 რომელი მხარე გიწოდებდა აკვანს? თუ იმდენი...
 შე-კი ოხერი მოკლებული ვარ თუ იმდენი...
 ამ ვარ კეთილხარსე მასუხის გუბას? თუ იმდენი...
 ასე მწარედ თუქრბოს ასლანი და ამ დროს მასთან შემო-
 ვა ისკანდერი. ისკანდერის კეთილხარსე, რატომ ასე ჩათქმებული-
 ხარო, ასლანი უმუდავებს თავის გულის წუხილს და კეთილხარსე,
 შენ ხომ არ იცი შე სადაური ვარო. ისკანდერი უნასუხებს: შე
 კი ხანი მინდობდა შენთვის მეთქვა სადაური ხარ, მაგრამ ვერ
 გიბედავდი და რა-კი ახლა შენ თვითონ ადგეძას ამის სურვი-
 ლი, გეტყვიო. ასლანი გაოცებულია და ისკანდერიც მოუყვება,
 თუ 18 წლის წინეთ როგორ მოიტაცეს ორივე—ასლან 4 წლის
 და თვითონ ის—6 წლის ამხალეებმა და შერე როგორ ცალ-
 ცალკე აღზარდეს ისინი. და მოიტაცეს სწორეთ გახეთიდან! ას-
 ლანს არ სჯერა, მაგრამ ისკანდერს გახსენდება როგორ დასტ-
 რეს მატარა ასლანი მკლავში წაყვანის დროს და დასმტკიცებ-
 ლათ ჭრილობას ექებს მკლავზე, რაცა მართლაც ადმო-
 ჩნდება. ახლა-კი რწმუნდება ასლანი, რომ ის ქართვე-
 ლია და მის სიხარულს სახლვარი არ აქვს, თუთრა-კი იმის-
 თვის, რომ შექმდება ნინოს გული სამუდამოთ მინახი-
 დოს. ახლა ასლანი და ისკანდერი მოილანჯარაკებენ იმასზე, თუ

როგორ უშველან ქართველებს და ამხალეები აქედან განდევნონ.
 ამხალეების განადევნათ ხუმრო კმხადების ქართველებიც, ჯიშ-
 შერის შეთაურბით, რომელსაც ეკანჯავება რბობი (კანდე-
 ლაჯი), მოთაყვება შე შემოფერის და არა ჯიშურისა. მაგრამ
 ბოლოს ის შეურიგდება ჯიშურს და გადასწევს დილით ვერ
 ამხალთა ეველა მოთაყვები დახარცნ და ამთ შორის ზირვე-
 ლათ ასლანი, და შერე ჯარს შეუტობნ. და აი, შუადამისას,
 ასლანი შედის ჯიშურთან მოსლანჯარაკებლათ. ჯიშურს ეს ძა-
 ლიან უკვირს, მარა თავსით იღებს. და აქ ასლანი და ისკან-
 დერი ამუდავებენ, რომ ისინიც ქართველები არიან და მათ სურთ
 ქვეყნის განთავისუფლების საქმეს მოეხმარნ. ეს არ სჯერა
 ჯიშურს, მაგრამ, შემიჯე დიდი ფიცისა და საბუთებისა, ისიც
 იჯერებს. ჯიშური თავისი მუედლით ხანთი (გაბუხია) კეთილ-
 ბიან იანიხართ, თუ როდის მოიტაცეს ისინი და საიდან. ისკან-
 დერი მოუყვება მოტაცების ამბავს, რაცა ასლანს, როგორც
 უმცროსს, არ ახსოვს. ბოლოს იგონებს ასლანის ბავშობის სა-
 ხელსაც და ახლა გამიხდება, რომ ის არის შვილი თვით ჯიშ-
 შერისა, რომელსაც ამ 18 წლის წინათ ამხალეებმა მოიტაცეს,
 ხოლო ისკანდერი ჯიშურისას მცხოვრები მხარეი ქალის სა-
 ლომეს (ხერქეზიშვილისა) შვილია. მშობლები დიდს სიხარულ-
 შია. ნინო-კი თავისი დობილით სალომეს ქალიშვილით ქალთა-
 მხუთი (მიღვანი) მეზობლისას წავიდეს სადამოთა, რომ შეიკე
 დეს ისინიც ამის ველზე გავიდეს.

„გათენდა დილა და ატედა ბრძოლა. ნინო ვადის ომის ველ-
 ზე და იკებს, რომ ასლანი ქართველი ყოფიდა და ქართველებს
 მიემხრო. ნინო დიდ სიხარულშია. ის შეხვდება ასლანს და
 ორივე ერთმანეთს სიყვარულს უცხადებენ და თანაც ფიცს სდე-
 ბენ სამუდამოთ შეერთებაზე. ამ დროს ომი თანდათან ახლანს
 მოტანს და ორივეს გაიტაცებს. აქ ასლანი შემთხვევით გებუ-
 ლობს, რომ ნინო ჯიშურის ქალიაო. ერთიანთ თავსარი ეცე-
 მა; დონე ელევა, სული ესუთება და ომში კიდევაც იჭრება.
 მას მინდობსე წაქეუელს ხახვენ ანა და სალომე, რომელთაც
 გადაყვით სადგომში და ჭრილობას უკვირნ. ნინო გამწარებული
 დაეძებს ასლანს და შეხვდება დედას სხვა-და-სხვა მადამოთა
 ხელში. დედას კეთილება, ასლანი ხომ არ გინახავსო, — დედასზე
 ვერ გასძლო და ჭრილობა შეხვეული ომში წამოვიდაო. ნინოს
 უკვირს დედის ასეთი გულმტკივნეულობა ასლანზე და კეთილხარსე
 ვინ არის, სადაურიაო. დედა გაოცებს, მას ჭკობია ნინომ კი-
 დევაც იცის ვინ არის ასლანიო და ეუბნება: ის ხედი შვილია,
 შენი ძმაო. ნინოს თავსარი ეცემა, ფერი მისდის და ხუმრო
 გაიზარება, დედამ არ შემიძნასო. სასწარმეკეთილი ქალი (ვა-
 ყურათ აცვია) ზირდაზირ ომში შედის და იქ სასიკვდილოთ იჭ-
 რება. მაგრამ იმდენი დონე კიდევ შერხა, რომ მინდობსე გა-
 მოვიდეს და აი აქ ასლან შეხვდება. ორივე ერთმანეთს მივარ-
 დებთან ძხილით: დამ—ძმაო. ნინო მწარეთ მოთქვამს, შეგონებო-
 თო, მაგრამ დონე ელევა და მიწაზე მკვდარი ეშვება. აქ ასლან-
 ნი ამბობს:

„ამ ქვეყანაზე ბუდის დობილი,
 ცრუბენტელა და ცვალებადია,
 დეეს შენ გიდიმის, სხვას უწელავს გულსა,
 ხვად სხვას ახარებს, შენ გხუთავს სულსა!
 ცხოვრების ტრიალს არა აქვს ბოლო,
 ვის ძალუქს ახსნას ეს საიდუმლო?
 ხუ თუ არავის? ხუ თუ ამ ქვეყნათ
 ხამდვილ მიხეზებს ვერ გამოვარკვევთ?
 ხუ თუ ეს ჩვენი ბნელი გონება
 მისს უმთავრესს ძარდვს ვერ მიუხვდება?

ოჰ, წვეულებს ხარ ცხარების ბრუნვავ,
 ქვეყნად შერცხევიდა შეხვეწილებულა...
 შენ გინდა იყო კაცის ბატონი,
 გაშწიკებული იმის საქმისა—
 შენ—დაბრმავებულს-დაურუგებულს,
 შენ—მკვლევებულს სიმათლის გზასა.
 მეც გინდა ვიყო შენი მონა-უმა,
 მეც შენს ქიფზე გინდა ვიხტუნო?
 არა, შენ მაგას ვერ შეეწიკები,
 შენ ვერ მიაღწევ მაგ გამარჯვებას! და სხ.
 ამ სიტყვებზე ის ახსნის ჭრილობას, სისხლიდან იცლება
 და ნინოს გვერდით კვდება.
 გამარჯვებული ქართველები სიმღერით მადიან და მრავალ
 მკვდარს თავს წაადგებიან. აქ დედა იჩენს სიმხვეკვს და ამბობს:
 „მაგრამ სამშობლო განთავისუფლდა,
 ეს იყო მისთვის უკვდავი მსხვერპლი!“...
 ფარდა ეშვება.
 ასეთია ზიკსი. ზიკსი თავიდან ბოლომდე სანტიკრესია.
 სტენაზე-კი სიტყვების რახარხით გამოგვიჩვენეს. ამას მიუმა-
 ტეთ ისიც, რომ არც ერთმა რელი არ იცოდა. განსაკუთრებით
 ბ. მესხიშვილს ეძნელებოდა მანქანების თავისუფლად წარ-
 მოთქმა, რის გამოც მათემატიკაზე შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა.
 დიდი ეფექტიური ადგილები ისე მშრალათ ჩაატარეს, რომ
 ვერც-კი გებულობდი რა მხნა. ზოგი არტიტი სიტყვას და
 ფრანსასაც იმეორებდა და დის მაგიერ ძმას ამბობდა. ერთი
 სიტყვით, რაღები არ იცოდენ და სხვამ ერთ სიტყვას მეორეს
 მოაბამდენ, კაი ხანი მიდიოდა. რაც შეეხება ანსამბლს—ეს
 კარგი იყო. კარგი იყო აგრეთვე დეკორაცია და ჩანაშობა.
 ავტორს რამდენიმეჯერ გამოუძისეს. მობეჭვების ჩვეულებრი-
 ვათ მიიღეს. თეატრი ხალხით გაჭედილი იყო.

ისტორიული მეცნიერებიდან

(შემდეგი *)

მარქსის ფილოსოფიის დედა აზრია: თვითვე ისტორიულ ეპოქაში ეკონომიური წარმოება და მის მიერ გამოწვეული საზოგადოებრივი შენობა შეადგენენ პოლიტიკური და გონებრივი ისტორიის საფუძველს; რომ თანახმათ ამისა, მთელი ისტორია, დაწყებული პირველ ყოფილ სათემო მიწათ-მფლობელობის დაშლისაგან, არის მხოლოდ ისტორია კლასთა ბრძოლისა... რომ ამ ბრძოლამ ახლა იმ ხარისხამდე მიაღწია, როცა გაყვლიფილსა და შევიწროებულს კლასს არ ძალუძს განთავისუფლდეს გამყვლიფელ და შემაღვიწროებელ კლასისაგან, თუ ამავე დროს სამუდამოთ არ გაათავისუფლა მთელი საზოგადოება ყვლიფისა, შევიწროებისა და კლასიურ ბრძოლისაგან; აი ეს დედა აზრი ეკუთვნის მარტო-მარტო და განსაკუთრებით მარქსს.

ასე ამბობს ენგელსი. მართალია ეს? არა. პირველათ, არ არის მართალი ენგელსი, როცა თავის საკუთარ მონაწილეობას ამ დედა-აზრის შემუშავებაში უარსა ჰყოფს. მეორეთ—ზოგ ძლიერ საყურადღებო მის ელემენტებს ჩვენ ვხვდებით ბევრათ უფრო ადრე სოციალ-პოლიტიკურ ლიტერატურაში.

სამართლიანათ შენიშნავს პროფესორი ანტონიო ლა-

*) იხ. „კვალი“ № 4.

ბრიოლა, რომ ჯერ კიდევ ძველ ისტორიკოსებს, ხოლო ჩვენს დროში განახლების ეპოქის იტალიელ ისტორიკოსებსაც, კარგათ ესმოდათ მნიშვნელობა კლასიური ბრძოლისა, რომელიც მათ თვალწინ ხდებოდა პატარა რესპუბლიკურ ქალაქთა ვიწრო ფარგლებში. ასეთივე სამართლიანია მეორე შენიშვნა ლაბრიოლასი, რომ კლასიური ბრძოლა, რომელმაც ისე ფართოთ გაიდგა ფესვები თანამედროვე ერებში, უფრო და უფრო ცხადი დასანახი ხდებოდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. მაგრამ ის სცდება, როცა ფიქრობს, რომ ამ ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა ყველაზე უფრო შეგნებული იყო ამ ხანის დასასრულს,—სახელდობ 1830 და 1850 წლებს შუაო. ნამდვილათ-კი შეგნება კლასიური ბრძოლისა გასულ საუკუნის მეოცე წლებში ისეთი ცხადი და ნათელი იყო, რომლის უფრო ნათლათ ვარკვევას მხოლოდ მარქსისა და ენგელსის თხზულებებში ვპოულობთ. 1830—1850 წელთა ეპოქაში-კი ამისი შეგნება რამოდენიმეთ ბნელით მოცული იყო, რის მიზეზებსაც ჩვენ ქვევით მოვიყვანთ.

სენ-სიმონი თავის „Lettres d'un habitant de Geneve“-ში, რომელიც 1802 წელს გამოვიდა, ამბობს „შეძლებულთა“ და „შეუძლებელთა“ ურთიერთობაზე და ამ კლასთა შორის ბრძოლით ხსნის საფრანგეთის რევოლიუციის მსვლელობასა და მის დაბოლოვებას. მაგრამ ამ თხზულებაში მხოლოდ ჩანასახია სენ-სიმონის შეხედულებებისა. უფრო ნათლათ ხატავს ამას ის თვის ბოლონდელ ნაწარმოებებში—მაგალ., „Organisateur“-ში (ცნობილი „პარაბოლა“), „Lettres a Messieurs les Jurés“-ში, „Du sisteme industriel“-ში, „Catechisme des industriels“- და „Opinion litteraires philosophiques et industriels“-ში. აი რას სწერს სენ-სიმონი: „წარმოება არის საზოგადოებრივი კავშირის მიზანი, ამიტომაც ისინი, რომელნიც წარმოებას ხელმძღვანელობენ, საზოგადოებრივი კავშირის მოთავენი იყვენ მუდამ და ასევე უნდა დარჩენ. მე-XV საუკუნემდე ქვეყნის გამგეობა თავად-აზნაურობის ხელში იყო. სხვა გვარათ შეუძლებელ იყო, რადგან თავად-აზნაურობა იყო მაშინ მეურნეობის ხელმძღვანელი, ხოლო მეურნეობა-კი იმ დროს სამრეწველო მოღვაწეობის ერთათ-ერთი უაღრესი დარგი იყო. მაგრამ დროს განმავლობაში პირველ ჯვაროსანთა ლაშქრობიდან ვიდრე ლიუდოვიკ მე-XI-მდე, თანდათან იზარდა და დამწიფდა თავად-აზნაურობისაგან დამოუკიდებლათ ახალი საზოგადოებრივი კლასი,—მრეწველნი, პირდაპირი ამ სიტყვის მნიშვნელობით,—რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა და გამაგრდა ლიუდოვიკ მე-XI-სა და ლიუდოვიკ მე-XII-ს ხანას შუა. მთელ ამ ეპოქის განმავლობაში სამრეწველო კლასს ერთხელაც არ შეუწყვეტია ბრძოლა თავად-აზნაურობასთან, რომელსაც ზედი-ზედ ართმევდა ეკონომიურ პოზიციებს. რადგან ამ კლასისათვის საჭირო იყო ძლიერი მომხრე, ის დაეკავშირა სამეფო მმართველობას; ასეთმა კავშირმა ნათელ-ჰყო საფრანგეთის შემდეგი პოლიტიკური განვითარება იმ დრომდე, როცა სამეფო მთავრობამ, ლიუდოვიკ მე-XIV სახელით, უღალატა თვის ერთგულს მოკავშირეს და იქცა არისტოკრატის მფარველათ. ეს ისეთი შეცდომა იყო, რომელიც ძვირათ დაუჯდა ბურბონებს; მაგრამ ამით არ შეჩერებულა სამრეწველო კლასის განვითარება. საფრან-



გეთის რევოლუცია და მისი მიმყოლი შემთხვევები გამოიწვია ახალ სამრეწველო წყობილების ძველ ფეოდალურ სისტემასთან ბრძოლამ. რესტავრაციის დროს ფეოდალურ სისტემის მომხრეთ ისევ სცადეს დაებრუნებინათ ძველი გავლენა და მნიშვნელობა. მაგრამ მათს ცდას არავითარი ღონე არ შესწევდა, მათი გავლენა სამუდამოთ გამქრალი იყო. „ხუთმეტე საუკუნის განმავლობაში—ამბობს სენ-სიმონი—ფეოდალური სისტემა თანდათან ირღვეოდა, ხოლო სამრეწველო წეს-წყობილება კი თანდათან ფეხს იკიდებდა. საკმაო მრეწველობის უმთავრეს წარმომადგენელთა პაწია ტაქტიკური მოქმედება, რომ სრულიად დაამყარონ სამრეწველო სისტემა და გასწმინდონ საზოგადოება იმ ფეოდალურ შენობის ნანგრევთაგან, რომელშიაც ცხოვრობდნენ წინათ ჩვენი წინაპარნი“^{*)}.

სენ-სიმონის ისტორიული შეხედულობები მთლათ შეითვისა მისმა შვილობილმა ოგიუსტენ ტიერიმ. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საფრანგეთის ისტორიულ მეცნიერებაში. ოგიუსტენ ტიერი „მესამე წოდების“ აზრებს ემსახურებოდა და კარგათაც ესმოდა ეს. 1818 წ. „Conseur Europeen“-ში ის სწერდა: „ვის არ გაუგონია ის კლასი, რომელმაც შეუნახა კაცობრიობას სამრეწველო ხელოვნება და შრომის ჩვეულება, როცა ბარბაროსნი ევროპას ანადგურებდნენ, ამ ხალხს მუდამ ავიწროებდნენ და არბევდნენ მათი მძლეველნი და მბძანებელნი, მუდამ გაჭირვებულ არსებობას ატარებდნენ ეგენი და ასეთი შრომისათვის სასყიდლოთ კმაყოფილდებოდნენ იმ შეგნებით, რომ მათი მოქმედება სასარგებლოა და კაცობრიობასა და მათს შვილებს არ უკარგვენ ცივილიზაციას. მხსნელნი ამ ხელოვნებათა იყვენ ჩვენი მამები. ჩვენა ვართ შვილები იმ ყმათა, იმ მოხარკეთა, იმ ბურჟუათა, რომელთაც შეუბრალებლათ ეპყრობოდნენ დამპყრობელნი. ჩვენ რაცა ვართ, ეს მათი მეოხებით... ჩვენ,—ახლახან განთავისუფლებულ მონებს,—გვახსოვდა მხოლოთ ჩვენი ოჯახი და ჩვენთა ბატონთა ქცევა-მოპყრობა. მხოლოთ ამ 30 წლის წინათ ძლივს მოვიგონეთ, რომ ჩვენი მამები მთელ ერს შეადგენდნენ. ყველაფერს აღტაცებაში მოვყავდით, ყველაფერს ვსწავლობდით, მხოლოდ მას-კი არა, რაც მათ გაუკეთებიათ. ჩვენ ვპატრიოტობდით და ვივიწყებდით მათ, რომელნიც თოთხმეტი საუკუნის განმავლობაში ანაყოფიერებდნენ სამშობლოს ნიადაგს, რასაც ისე ხშირათ აოხრებდნენ უცხოელნი“¹⁾.

ორი წლის შემდეგ ტიერი ისევ უბრუნდება იმავე ტემას და ამტკიცებს, რომ ფრანგებს ჯერ კიდევ არა აქვთ თავისი ხალხის ნამდვილი ისტორია. მოქალაქეთა ისტორია, ისტორია ქვეშევრდომთა ჯერ არ დაწერილა, და ასეთი ისტორია-კი ბევრათ უფრო საინტერესოა და მეტს სიმპატიას გამოიწვევს, ვინემ მაღალ-ხარისხოვან პირთა და მეფეთა ისტორია, ერთათ-ერთი ისტორია, რომელზედაც ჩვენ გვითითებენ. სახალხო მოძრაობა თავისუფლებისა და კეთილ-მდგომარეობის მოსაპოვებლათ ბევრათ უფრო დიდებულ სანახაობას წარმოადგენს, ვინემ დამპყრობელთა ლაშქრობანი, ხოლო ხალხის უბედურება უფრო საგრძნობელია, ვინემ იმ კაროლთა, რომელთაც

ტახტი დაუკარგავთ. ხალხის ისტორიის დამწერი კალამი რომ გაჩენილიყო, ფრანგები მიხვდებოდნენ, რომ მათი ქალაქები იამაყებდნენ „არა მარტო იმით, რომ ამ ქალაქებში ცხოვრობდნენ ესა თუ ის არისტოკრატები, ან იქ გაუფლია ამა თუ იმ კაროლს, მიხვდებოდნენ აგრეთვე, რომ ხალხის პოლიტიკური ცხოვრება მარტო გადასახადებისა და სამხედრო ბეგარის გადახდით არ განისაზღვრება“²⁾.

ეს ტირადა საკმაო მჭევრმეტყველორათ ლაპარაკობს, თუ რა ძირითადი ცვლილება გამოიწვია საფრანგეთის ისტორიკოსთა შეხედულობებში მესამე წოდების თვითცნობიერების ზრდამ. იმ დროის სწავლულ პლებეებისათვის (მდაბიო წოდება) მესამე წოდების ისტორია უფრო საინტერესოა სასახლისა და არისტოკრატის ისტორიაზე, და ამიტომაც იყო, რომ მათ სურვილი აღეძრათ შეემუშავებიათ სახელდობრ მესამე წოდების ისტორია. ხოლო რადგან მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეს ისტორია მთელი ხალხის ისტორია იყო, გარდა თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდებისა, არც საკვირველია, რომ წასულ საუკუნეთა ხალხურ ცხოვრებამ მიიპყრო უმთავრესი ყურადღება ისტორიული მეცნიერებისა, რომელიც წინათ მხოლოდ კაროლებსა და არისტოკრატებს ეხებოდა. რესტავრაციის დროის ისტორიულ მეცნიერებაში იგივე მესამე წოდების სულის-კვეთება იხატება, რომელმაც ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში იჩინა თავი სიტყვა-კაზმულ მწერლობაში და ლიტერატურულ კრიტიკაში. ცნობილია ის პსიხოლოგიური მოტივები, რომლებმაც გამოიწვიეს ეგრეთ წოდებული **მეშჩანთა დრამა**. „რას დავდევ მე, მე-18 საუკუნის მონარხიულ სახელმწიფოს მშვიდობიანი მოქალაქე,—სწერდა დრამატურგი ბომარშე,—ვიღაც პელოპონეზიელ ტირანის სიკვდილს, ან მეფის ქალის მსხვერპლათ შეწირვას ფლიდაში? არც ერთი ეს ჩემი საქმე არ არის, არც ერთ ამაში ჩემთვის არაფერია სახელმძღვანელო“³⁾. ბომარშეს და მის თანამოაზრეებს უნდოდათ, რომ სცენაზე სიყვარულითა და ყურადღებით დაესურათებიათ მათ თანამედროვე მესამე წოდების ხალხის ყოფა-ცხოვრება და ტანჯვები. კლასიკური ტრაგედია მათ აჯაფრებდა და შეურაცხყოფდა მით, რომ ის ისეთის ყურადღებით ექცეოდა მაღალ-ხარისხოვან გმირებს. „საშუალო შეძლების ხალხის მწუხარებისა და უბედურების დასურათხატება? ვის გაუგონია! **Fi donc!** მათი მხოლოდ დაცინვა შეიძლება! ყბად-ასალები მოქალაქენი და საბრალო კაროლები—აი რა შეადგენს თეატრის საზრდოს! კარგი, ასე ვიცოდეთ“—ნაღვლიანათ სწერდა ბომარშე“⁴⁾.

მეთვრამეტე საუკუნის ბურჟუაზიის სურდა „თვისი პორტრეთი ჰქონოდა და მათმა მწერლებმა სცადეს „მეშჩანთა“ დრამის გმირებში გამოეხატათ მაშინდელი ბურჟუაზიის ზნე-ხასიათი“⁵⁾. სწორეთ აგრევე სურდა ბურჟუაზიის რესტავრაციის დროს (მე-19 საუკ. პირველი მეოთ-

²⁾ იხილვ პირველი წერილი საფრანგეთის ისტორიაზე, გადამბეჭდილი Dix ans d'Etudes historiques-ში, p. 325.

³⁾ Essai sur le genre dramatique sérieux „Oeuvres complètes“-ში, Paris 1828, t. I, p. 11.

⁴⁾ ib. t. I, p. 258

⁵⁾ შეადარე ბრუნეტიერის „Les epoques du theatre francais“, Paris, 1896, p. 28

^{*)} Euvres, p. 59.
¹⁾ იხ. მისი Dix ans d'Etudes historiques. Paris 1837, preface, p. VIII.

ხედი), როცა ის იცავდა თავის სოციალ-პოლიტიკურ ნადავლს ძველ წეს-წყობილების მომხრეთაგან; მას სწავდა მოესმინა თავის საკუთარი ბავშობისა და სიყმაწვილის დროის ამბები და მისმა სწავლულებმაც მიჰყვეს ხელი საგულისხმო და საინტერესო მოთხრობების წერას იმ შევიწროებაზე, რომელსაც ბურჟუაზიას აყენებდნენ ერთ დროს მის ბრძოლაზე უკეთესი ცხოვრების მოსაპოვებლათ და მის საბოლოო გამარჯვებაზე. ამნაირათ იშვა ისტორიულ მეცნიერებაში ახალი მიმართულება, რომელიც დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ამ მეცნიერების განვითარებაში.

წინა დროთა ისტორიკოსები, რომელთაც მარტო კაროლები და არისტოკრატია აინტერესებდათ, თავიანთ მაღალ-ხარისხიანთა გმირების მოქმედებებში ხედავდნენ ისტორიულ განვითარების უმთავრესს მამოძრავებელ ძერძს. ვეგვე შეხედულობა შეითვისეს მეფე-მეფე საუკუნის განმანათლებლებმა; ამათ მხოლოდ ეს შეხედულობა ცოტათი შესცვალეს, თანხმათ თავიანთ რევოლიუციონური მდგომარეობისა, შემდეგ მოძღვრებათ: აზრია ქვეყნიერობის გამგეო—ამბობდნენ ისინი. ამ თეორეტიკული მხრით უნადავო მოძღვრების უბირატესობა იმაში გამოიხატება, რომ ინტელიგენციის რევოლიუციურ გმირებს ძლიერი ზედმოქმედება ჰქონდათ დაზარალებულ საშუალო წოდებაზე. რესტავრაციის დროის ბურჟუაზიას, რომელმაც ის იყო სასიკვდილოთ დასჯრა ძველი წეს-წყობილება, არავითარი ნიშანი არ შერჩენია დაზარალებულ ბრძოლის. მის იდეოლოგიებს სწამდათ ამ ბურჟუაზიის ძალა და მნიშვნელობა და ხედავდნენ მასში ისტორიული მოძრაობის უმთავრესს გმირს. ჩვენ უკვე ვიცით, რა ადტაცებით იხსენიებდა ტიერი მის ღვაწლს კაცობრიობისა და ცივილიზაციის წინაშე.

რაკი ბურჟუაზიის სწავლულ წარმომადგენლებმა ხელი მოჰკიდეს თავიანთ „მამების“ ისტორიას, აუცილებელი იყო სრულიად ახალი შეხედულობის შედგენა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმოშობასა და მათ განვითარებაზე.

„საკვირველია, — ამბობს ოგიუსტენ ტიერი, — რომ ისტორიკოსნი ასე დაჟინებით უარყოფენ უმრავლესობის ყოველგვარ თვით-მოქმედებას, ყოველგვარ შემოქმედებას. თუ რომელიმე ხალხი ახალ საცხოვრებელ ადგილებს ეძებს და ერთი ქვეყნიდან მეორეში სახლდება, ჩვენი ისტორიოგრაფები და სპოეტები ამას ხსნიან მით, რომ ამა და ამ გმირმა მოისურვა დაეარსებინა ახალი იმპერია სახელის მოსაპოვებლათო! თუ არსდება რომელიმე ახალი სახელმწიფო, ამას ხსნიან ამა თუ იმ ხელმწიფის სურვილით და ინიციატივით. ხალხი, მოქალაქენი-კი წარმოადგენენ მხოლოდ მატერიას (ნივთიერებას), რომელსაც ასულდგმულებს კერძო პირთა აზრი. სინამდვილით გასურთ გაიგოთ, ვინ შექმნა ესა თუ ის დაწესებულება, ვის ეკუთვნის ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოქმედების აზრი? ჰპოვეთ ის, ვისთვისაც ის იყო საჭირო, და გაიგებთ, რომ ყოველივე ეს მათ ეკუთვნით; მათ დაებადათ პირველი აზრიც, მოქმედების სურვილიც და შემსრულებელიც უმთავრესათ ის არის. Is fecit cui prodest—ეს ჰქმნარიტება ისევე მისაღებია ისტორიაში, როგორც იურისპრუდენციაში“⁵⁾.

5) Dix ans d'Etudes historiques, p. 348.

ამ ახალ შეხედულობას—შეხედულობას საზოგადოებრივ ანუ კლასთა ინტერესისა და მასთან შეკავშირებულს თანაგრძნობას იმ „მამებისადმი“, რომელნიც ხანგრძლივათ იბრძოდნენ უმაღლეს წოდებათა წინააღმდეგ—ღი, ამ აზრს აუცილებლათ უნდა გამოეწვია შეგნება იმისი, თუ რა დიადი ისტორიული მნიშვნელობა აქვს თავის ინტერესებისათვის სხვა-და-სხვა კლასთა ბრძოლას, ე. ი., მოკლეთ, კლასთა ბრძოლას. მართლაც, ოგიუსტენ ტიერიმ უკვე თავის პირველ ლიტერატურულ ნაწარმოებში მიგვითითა „კლასთა და ინტერესთა შორის ბრძოლაზე“ ინგლისში—*lutte des classes d'hommes et des intéres*, რაც იყო შედეგი ნორმანდებისაგან ინგლისის დაპყრობისა⁶⁾. მეჩვიდმეტე საუკუნის რევოლიუციურ მოძრაობას ინგლისში ის ხატავს როგორც მესამე კლასის ბრძოლას არისტოკრატიათთან.

(შემდეგი იქნება)

ჩადაძვირისაგან. „კვალის“ მეათეუ ნომრის დასკვნას დაგვიანდა, რისთვისაც ქალაქში შეადგინეს გეგზახეთ დასარიკებათ, ხოლო ზრავინციებში—ოქსბასის დილით. მიზეზი დაგვიანებისა იყო ქ. ხელახლის სტამბა, რომელმაც ზირახათ ვერ შეგვისრულა სქიქი, და ამით გასეთის სქიქი დიდათ დაბრკოლდა. რასაკვირველია, სტამბა მამხვეუ კამეფრეველ და დეიადან, იმედას, გასეთის ნომრები თავ-თავის დროზე გამეფა.

ფ. მ. ს. ბ. ა.

გერასიმე ჭეიშვილს. გვაცნობეთ თქვენი ადრესი.

6) წერილში „Vue de revolutions d'Angloterre“, „Dix ans d'Etudes historiques“-ში, p. 16.

რედაქტ.-გამომც. ან თ.-წვერთელისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

„ჯეჯილის“ რედაქციისაგან. გამეფიდა და დაურეგა ხელის მამწერელის ახვანის ნომერი უურხადი

„ჯ ე ჯ ი ლ ი“

რედაქცია ბადისი ახდის ხელის მამწერლებთან, რამ სტამბის მიზეზით ასე დაგვიანდა „ჯეჯილის“ დასრუება. თუერელის ნომერი უკვე იბეჭდება სხვა სტამბაში და მალე დაურეგება ხელის მამწერელის.

თფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მდგომარე 1901 წლის 30 იანვარს, შუადღის პირველ საათზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომლითაც გაიცემა იჯარით გადამდებ სენით ავადმყოფთათვის მე-3-ე და 4-ე მენობის აშენება და მათთან ქვითკირის სარაია 28,138 მანეთის ღირებულობისა. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებით პირობანი გამგეობის შენობათა განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 9 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე.